



პრსენალი

საქართველოს
გარემოსდაცვითი
აგენტობა

1425
2011

№9 (130). 29 აპრილი - 12 მაისი, 2011 წელი. ღირსეულობითი ჯურნალი. ფასი 1,5 ლარი.



სიხლავა — სამხედრო რომანი
8 აბვისტოს
დახვეწილი

**ისრაელთან გაფუჭებული
სამხედრო ურთიერთობა...
რა ბადი ელის ქართული
არმიის ეგრავლ შეიარაღებას?!**

**იბერიის სამეფო —
ბრკოლა რომისა და
პართიის იმპერიებთან**

**რუსეთ-სომხეთისთვის
ჩაკეტილი ქართული სვ**

**რატომ დაუპირისპირდნენ
ქართული „სოხუების“ და
რუსული „იამალის“ მეთაურები?**




100 დიდი
გენერალთაგანია
— სუნ კი

46



კავკასიური
გაზალიონები

14



გრიკოლა
მოკლე დისტანსიისა

20

ქართული სპ
რუსეთისათვის
ჩაიკება

8



გელგიელი
კომანდოსები

35



საზღვაო
უპეულფრენები

38



სარჩევი

- 4** სამხედრო სიხსნაგები კალეიდოსკოპი
- 7** რა მოხდა BLACKSEAFOR-ის სწავლებებზე? ღაიბრისნიკება
- 8** ქართული ხა რუსეთისთვის საზოგადოებრივი ინიციატივა პოლიტიკა
- 10** ისრაელთან გაფუძვლები სამხედრო ურთიერთობა... პრობლემა
- 14** რუსეთის არმიის კავასიონალების ნაყვანის ურთიერთ... ჩრდილო კავასიონა
- 16** უინეთი კა-გა-განს არმიისთვის საეხსნაგებების არმიისთვის
- 18** კავასიონის მოქმედების მიმოხილვა... რეპორტი
- 20** „მტრის თვალისთვის უარის გარჩევა“ –
ბრძოლა მოქალაქეებისთვის ბაჰაჰიკა
- 24** ლიბის მხარეებთან ისრაელის ჯავშანით
კალაშნიკის ყველაზე საშიში მოწოდებლები ბარბრისებელი ორბანისთვის
- 30** მარტოველი ჯავშანგებინა ბანეშინების კავაში
- 35** ბელგიელი კომანდოსები საემოხმარების
- 38** საზღვაო ვეულები ინოვაციური ტექნოლოგიები
- 43** იბრისის საფუძველი ქართული ომების ისტორიული
- 46** სუფი 100 დღის მხარეთმშენებელი
- 48** 8 აბრისის ღებებები სამხედრო ომები
- 52** ბიანი მხარე სამხედროების ინიციატივა
- 54** ხელის მხარეთმშენებელი გარდაცემული M16 „არსნალი“ იბრისის მხარე

კვლევის სვეტი

ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის არმია სამხედრო მხარეებს აგრძელებს და ცოტა ხნის წინ მე-4 და მე-7 სამხედრო ბაზების ბრძოლისუნარიანობა თავად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა შეამოწმა.

მინისტრი ლავროვი საოკუპაციო ფარების მხოლოდ სახმელეთო ქვედანაყოფების მონახულებით არ დაკმაყოფილდა და ონაშორებში ბაზირებულ რუს საზღვაო მესაზღვრეთა კატარღით ზღვაში გაისვინა.

საქართველოს მხარდასაჭერი NATO-ს განცხადების შემდეგ, რუსეთის საგარეო უწყების პირველმა პირმა ტრადიციას არ უღალატა და საქართველოსგან მოსალოდნელ პროლოკაციებზე ილაპარაკა. თუმცა საერთო და პროლოკაციები სად იბაღება და საიდან მოდის — კითხვას არ უნდა ბაღებდეს.

ირაკლი ალბაგაშვილი
თეზურ ჩანაწერი

შურაღება!
ბამიშორეთ „არსნალი“
და მიღებთ შიხ,
ორ კვირაში მართლმ!
ტელ: 38-26-74; 38-26-73

რედაქციის მხარეთმშენებელი
ბასსაგების ბაღაგამფაგ
ბარბაღულია

ბაღაგამფაგის ბასსაგამფაგ
25.04.2011

ბაზეთ „კვირის პალიტრის“
ღამაგებამ ©
რედაქციის მხარეთმშენებელი:
თბილისი, ირსაგების ქ. N49
ტელ: 38-83-07 (121)

სარედაქციო მხარეთმშენებელი:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenal@kvispalitra.com
შურაღელი ბამიშორეთ
ორ კვირაში მართლმ
ბარბაგამფაგ

როგორი-ვეიკების დროს დამუშავდა...



სამხედრო რობოტები ყოველთვის არ არიან „სიკვდილის მანქანები“. მათი გამოყენება დაზარალების ან ტვირთის გადასატანადაც შეიძლება. ახლაც დაჭრილებისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენად, როგორც ეს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობაში სამომავლოდ ესაზღვრება.

სამხედროების სურვილის თანახმად, აპარატი ACCS (აბრეჯატურა ეკითხება როგორც „კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის დახმარების სისტემა“) პირველ რიგში უნდა ადგენდეს, ვლენს თუ არა დაზარალებული სიცოცხლის ნიშნებს და შესაბამისად, შემდეგ იწყებდეს მისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენას. „კრიზისს შედგას“ ტექნოლოგიების, სტიმულატორისა თუ სისხლდენის შემამჩრებელი პერპარატების გამოყენება უნდა შეეძლოს. ამასთან, რობოტმა პაციენტი უნდა გადაიტანოს უსრუწყელოდ და საჭიროების შემთხვევაში, გაათბოს კიდევ — საზღვაო ძალებში ამ სახის პრობლემები არცთუ იშვიათია, რადგან ზოგჯერ მებრძოლს წყალში ყოფნა დიდხანს უხდება.

რამდენად შეძლებენ პროექტზე მომუშავენი სამხედროთა ყველა მოთხოვნის აღსრულებას, მთელი სათქმელაა. ჯერჯერობით უცნობია, რა თანხით დაფინანსდება პროექტი. დაზუსტებით ცნობილია მხოლოდ ის, რომ რობოტი 14 კვ-ს არ უნდა აღემატებოდეს, რაც აპარატის შეუღლმფრენითა და უპილოტო საფრენი აპარატით ტრანსპორტირებისთვის არის განსაზღვრული.

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში რობოტი-ეკიპის შექმნაზე განაცხადები 2012 წლის მაისამდე მიიღება.

თაღლითა აუზ-ის აკრის „ჩინური ქველანაყოფი“ შეეგება

გასოცარი სამხედრო აფერა დაატრიალა ამერიკაში მცხოვრებმა, ეროვნებით ჩინელმა ოუპენტანმა, რომელიც აშშ-ში ემიგრანტ თანამემამულეებს გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ ამერიკის შეიარაღებულ ძალებში სამსახურს სთავაზობდა.

როგორც ირკვევა, მოხერხებული ოუპენი გაჭირვებულ თანამომემებს არწმუნებდა, რომ ამერიკის არმიოში სამსახურით ისინი ნანატრ მოქალაქეობას სულ იოლად მიიღებდნენ.

51 წლის ოუპენის აფერა ახალგაზრდა ჩინელ ემიგრანტებზე იყო გათვლილი, რომლებსაც აშშ-ის არარსებულ ქვედანაყოფში მონაღობას 300-დან 450 დოლარის გადახდის სანაცვლოდ სთავაზობდა. დამაჯერებლობისთვის ის ჩინელ „წყვეამდელებს“ სამხედრო ფორმებსა და ვალებ მორშობის ურიგებდა, შემდეგ კი ავიამზიდვე იწყებდა, რომელიც შეიარაღებული იმდენის წინ ჩამოიწერა და ახლა სან-



დიგოს ღია მუხუშუმს აშქმუნებს. ვკი არა და, თვითმარქვია გენერალი მოტყუებული ჯარისკაცების მონაწილეობით ლოს-ანჯელესის გარეუბანში მცირე ალფუმებსაც კი მართავდა.

ოუპენ დენის თვალთმაქცობა ერთ დღესაც გამოამკარგდა და თაღლითობისა და დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით დააკეცეს კიდევ, რისთვისაც რეაქციონი პატიმრობა ემუქრება. აღმოჩნდა, რომ მცირე დროის განმავლობაში მატყუარამ 100-ზე მეტი ჩინელი ემიგრანტი გააბითურა.



ამერიკელი საზღვაო ქვეითები, რომლებიც მისას ავღანეთში ასრულებენ, სულ მალე მიიღებენ ახალ ტრუსებს, რომლებიც ფლორელებს თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების აფეთქების დროს წყლსქეპით მუხლამდე დაიცავს.

ანალოგიური საცვლები სულ ახლახან უკვე დაურევდათ ავღანეთში მყოფ ბრიტანელ სამხედროებს და, როგორც ჩანს, სახელმეგამართლა — ბრიტანელებს ამე-

აგჯარ-მრუსეთის იღა აპერიკალეგაზ აიგაზს

რიკლებმაც მიბაპეს. გვგმის თანახმად, თითოეულ საზღვაო ქვეითს ოთხი „აბჯარ-ტრუსი“ ერგება.

რაც შეეხება ამერიკელთა ახალ ტრუსს, ინგლისურიდან განსხვავებით, რომელსაც თან საეციადღური დამკევი სარტყელი და ნიჟარაც ერთობს, ის მფლობელს ნაღმის ნამსხვერველისგან ვერ დაიცავს, უბრალოდ, საცავლის ქსოვილი ძალიან მჭიდროდა და ჭრილობაში ქვიშის თან ასაფეთქებელი მოწყობილობის ფრაგმენტის მოხვედრას ხელს შეუშლის. ამასთან, ტრუსის ქსოვილს ანტიმაქტერიული თვისებებიც აქვს.

ამერიკელი სამხედროები ჯავშან-ტრუსის საკითხს ძალიან სერიოზულად უდგებიან და უახლოეს მომავალში აპირებენ ფოლადის ნიჟარის მქონე საცვლის შექმნასაც, რომელიც რამდენიმეშრიანი ბოჭკოვანი ქსოვილისგან დამზადდება.

„ცახალი“ ჯარისკაცები სიხუნეთსთან გრილად იწყებს


„ცახლის“ იმ გურმან ჯარისკაცებს, რომლებიც შაბათობით სამხედრო ნაწილის სასაბილოში უბიარტესობას იმეხნელ ებრაველთა სამხარეულოს კრძ ჯაბანუნს ანიჭებდნენ, მენიუს შეცვლა იძულებით მოუწევთ. საქმე ის არის, რომ ებრაული არმიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ჯარისკაცთა კვების რაციონიდან ეს გემრიელი, მაგრამ ჯანმრთელობისთვის საზიანო კრძი ამოიღოს.

„ცახლის“ გადაწყვეტილება ჯარში ჯანსაღი კვების პრობლემაა და სიმსუქნისთან ბრძოლით არის განპირობებული. პროგრამის ფარგლებში ჯარისკაცთა რაციონიდან იმ საკვებს ამოიღებენ, რომელიც მდიდარია „მყენებელი“ კალორიებით.

რაც შეეხება ჯაბანუნს, ებრაელთა საყვარელი კრძი, რომელიც ცომისგან დამზადებული ერთგვარი რულეტია, საკმაოდ დიდი რაოდენობით კარაქს შეიცავს. მას მობარშულ კვერცხსა და პამიდურის სოუსთან ერთად მიირთმევენ. რაოდენ წარმოდგენილი უნდა იყოს, ჯაბანუნის კვებითი ღირებულება 800 კალორიას შეადგენს.

ებრაული ჯარისკაცის რაციონიდან ჯაბანუნის გარდა, სხვა მაღალკალორიული კრძების ამოღებაც იგეგმება, სანაცვლოდ კი სამხედრო ნაწილების სასაბილოები ხილბოსტნეულით უფრო მეტად მომარაგდება.

გრავილია პიერბეგრაზე გასვლას გეგმავს



ბრახილია პიერბეგრით საფრენ აპარატზე მუშაობას ასრულებს, რომელსაც 6 M-ზე (6,9 ათასი კმ/სთ) მეტი სიქარის განვითარებას შეძლებს. რაკეტაზე, რომლის ინდექსია 14-X, ბრახილიელეები 2006 წლიდან მუშაობენ. პირველი საცდელი გაფრენა 2013 წელს შედგება. პიერბეგრითი საპერორეაქტიული ძრავით აღჭურვილი საფრენი აპარატი ტექნოლოგიების დემონსტრირების დანიშნულების შეასრულებს, ხოლო თუკი გამოცდა წარმატებით ჩაივლის, მის ბაზაზე უკვე ახალი პიერბეგრითი რაკეტები შეიქმნება.


2 მ სიმაღლითა და 0,8 მ სიგანის რაკეტის მთავარი დირიჟორი სიქარე და ტვირთამწვობაა. მის

პირველ გამოცდას ბრახილიელეები ორსაფეხურიანი რაკეტში VSB-30-ის მეშვეობით გვემევენ. რაკეტშიდის პირველი ნაწილი S-31 ტიპის ძრავით არის აღჭურვილი და დაახლოებით ოთხ M სიქარეს განავითარებს, რის შემდეგაც მეორე ძრავა (S-30) ამოქმედდება, რაკეტას 30,4 ათას მ სიმაღლეზე აიყვანს და სიქარეს ექვს M-მდე გაზრდის.


პირველი საცდელი გაფრენისას, საკუთრე 14-X-ის სამი პიერბეგრითი ძრავს ამოქმედება არ იგეგმება. პირველ ვერზე მხოლოდ რაკეტის აეროდინამიკურ თვისებებსა და ძრავების შიდატემპერატურულ მანევრებლებს შეამოქმედებენ.

პრინც პარის ნოლვაა მოუხაგვს

პრინც პარის დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების კაპიტნის ნოლვაა მაინიჭეს. ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრმა დაწინაურება არმიამო ხუჭილანი სამსახურის შემდეგ შეძლო. სულ მალე პარი საბრძოლო შეუღობურენ „პაინის“ მართვის კურსების ფინალურ ეტაპს დაასრულებს. ამჟამად პრინცი შეუღობურენის საბრტო შეიარაღების გამოყენებას სწავლობს, მანამდე კი მან ერთი მოსამზადებელი კურსი ფრანგულ ალბუმში გაიარა. პარი მოსამზადებელი კურსის დასრულებიანიხვე აულანეთში, საბრძოლო მოქმედებების ზონაში გაემგზავრება. მისი თქმით, შეუღობურენის პოლოტარების საკმაოდ დიდ ხარჯებთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამის გავლა გაუმართლებელი იქნება, თუკი მიღებულ ცოდნას ის საბრძოლო მოქმედებებში არ გამოიყენებს. სერაუდოდ, კაპიტანი პარი აულანეთის 2012 წლის ზაფხულში დაუბრუნდება, სადაც 2007-2008 წლებში სხვა ბრიტანელ სამხედროებთან ერთად რამდენიმე ოპერაციაში მონაწილეობდა.



ნიუ-იორკულ გაქსისგან ჯავახეილაგების იველია ღარენით



სათვალე, როველიზ შვის სივილიანს ღავიხავს ღა გვიოისგან

ჯღანეთში ბრიტანელ
სამხედრო მოსამსახურეებს სექტემბრიდან ახალ შვის სათვალეებს ღავრიგებენ. ტყვიავაგუმტარი სათვალე Sawfly ღა სათვალე-ნიღაბი Bullet Ant-ი განსაკუთრებული ღინ-ზეგითაა აღჭურვილი, რომლის მასლა გასაიდლოვიებულა.



სათვალეები კანადურმა კომპანია Revision-მა დააშადა ღა მას მოომრის თვალის მტერისა ღა ყუმბარის ნამსხერვეებისგან დაცვა შეუძლია. ღიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ პირველ ჯერზე 92 ათასი სათვალე დაუკვე-

თა, რომელთა საერთო ღირებულება 3,8 მლნ ყროს შეადგენს. ცვლებით ღადგინდა, რომ ახალი შვის სათვალე 5 მ მანძილიდან 12-კალიბრიანი იარაღის ნასროლ ტყვიას აკვეებს. თურემ ექსპერიმენტის ღროს ღინზეგმა სიმტკიცე ზეღნიხე 37-ე სროლაზეც შეინარჩუნა.

გრიგანელაგი ჯარს „აქიკავეანს“

ღიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო შადაა, შეიარაღებული ძალები „იჯარით გასცეს“. გაზეთ „ღიელი მკილის“ ცნობით, ღაპარკია სხვადასხვა მხატვრულ ფილმში პროფესიონალ სამხედროთა მონაწილეობაზე. მტეიც, ნებისმერ კინორეჟისორს სურვილისა ღა საჭირო თანხის გადახდის შემთხვევაში, ბრიტანელები „ციცხალ ძალასთან“ ერთად სამხედრო ობიექტებსაც მიაქიარავენ.

ობიექტებსა ღა სამხედრო მოსამსახურეებზე ნიხრს კი თავაღ სამინისტრო ოფიციალურად ამტკიცებს. მაგალითად, ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ძალების რეგითის მასობრივ სცენაში გადაღებისთვის თუ კონსულტანტად დაქიარაება კინომწარმოებლებს 195 აშშ დოლარად შეუძლიათ. კაპარალი უფრო ძვირად – 250 დოლარად ფასობს.

სამხედრო ობიექტისა თუ ბაზის დაქიარაება ღღეშე 2,5-ათასიდან 3,3 ათას დოლარამდე ღროს. რაც მთავარია, ბრიტანეთის სამხედრო უწყებაში ირწმუნებიან, რომ ამით ქვეყნის თავდაცვის ან არმის ბრძოლისუნარიანობა ონდაედაც არ ღაზარაღდება.



ნიუ-იორკელი ტაქსისტები, რომლებიც გამოძახებით მუშაობენ, ამიერიდან საჭეს ჯავახეილაგებით მიუსხებიან.

ამერიკის მეგაპოლისის ტაქსისტთა განკარგულებაში უკვე 30 ჯავახეილაგითაა, რომელიც უსაფრთხოებაზე საეციალიზებულ კომპანია Security USA-ს ეკუთვნის ღა თითო 400 აშშ დოლარად ფასობს.

სამომავლოდ ჯავახეილაგებით შემოსილი ნიუ-იორკელი ტაქსისტების რიცხვი გაიზრდება. ამჯერად კი პირველ რიგში იმ მძღოლების უსაფრთხოების გაძლიერებაზე იზრუნებენ, რომლებიც კრიმინოგენული მღგომარეობით სახელგატეხილ რაიონებში ღამის ცვლაში მუშაობენ. ჯავახეილაგებს მფლობელებს ღაღეცა 9 მმ-იანი კალიბრის, ასევე Magnum 357-ის ტყვიებისგან ღა ღანით თავდასხმისას შეუძლია.

სხვათა შორის, ნიუ-იორკში წინასწარი გამოძახებით მომუშავე ტაქსის ავტომობილები, განსხვავებით ჩვეულებრივი — ყვითლად შეღებილი ტაქსისებია, შავია ღა კლიენტებს იმ საშემ რაიონებშიც ემსახურება, სადაც „ყვითლი“ ტაქსები გადაადგილებას ვერ რისკავენ.

დასასრულ, ყოველთვიურად ნიუ-იორკში ტაქსისტებზე თავდასხმის, საშუალოდ 300 შემთხვევა აღინიშნება, რომელთაგან არცთუ ცოტად ღეტალური შეღვით მთავრდება.

ქართული საპატრულო კატარა BLACKSEAFOR-ის სწავლებებში მონაწილეობამ საზოგადოების არაერთგვაროანი შეფასება დაიმსახურა. მართლაც ძნელია სწავლებებში იმ ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა, რომელმაც ცოტა ხნის წინ ჯერ აგრესია განახორციელა და ახლა ორი რგოლიანი აქვს ოკუპირებული.

BLACKSEAFOR-ი ქართველი და რუსი სამხედრო მებრძოლების ერთობლივ სწავლებებში მონაწილეობის პირველი შემთხვევა არ არის.

2009 წლის აპრილში თურქეთში „სუი ზღვის პარტნიორობა 2009“-ში რუსეთს შუი ზღვის ფლოტის კორვეტი „სუნზალევი“ წარმოადგენდა.

„სუნზალევი“ ის „სახელოვანი“ ხომალდია, რომელმაც 2008 წლის აგ-



„სოხუმის“ მეთაურის კაპიტან-ლენინტენანტ გიორგი კიკეძისა და „იამალის“ მეთაურის მესამე რანგის კაპიტან ალექსეი გრიცაის დაბრისბრება საგარეულო პრესკონფერენციაზე მიზღა

კა მოსლა BLACKSEAFOR-ის სწავლებზე?

ვისტოში გამოვინიღ საზღვაო ბრძოლაში ფოთთან თითქოს ქართული კატარაღები ჩადიან.

დღეს რუსეთი საქართველოს მიმართ კვლავინდებურად აგრესიულ დავას და ტონს ინარჩუნებს. რუსი პოლიტიკოსები და სამხედროები სინაწულს განიცდიან იმის გამო, რომ თბილისი არ აიღეს, ქართულ ჯარსა და ქალაქებს მეტი ჰომბი არ დაეაყრეს, მეტი ქართული არ დახოცეს.

ამჟე პროპაგანდისტული წახების ქვეშ არის შუი ზღვის ფლოტი და განკლილ სწავლებებში ამის ნიშნები გამოიწინდა.

უკრაინელი ჟურნალისტებიდან ცნობილი გახდა, რომ სევასტოპოლის მახლობლად ჩატარებული გარეჯისის დროს შუი ზღვის ფლოტის დიდი სადგანტო ხომალდ „იამალის“ მეთაური ქართულ „სოხუმის“ შეკითხვებს არ პასუხობდა და იგნორირებას უყუთებდა, რაც ნაბირზე ორთე მეთაურის დაბრისბრების მიზეზი გახდა.

ჯგუფის მეთაურის რუმინეთის სამხედრო-საზღვაო ძალების კომანდორ კონსტანტინ ჯიორიოპას ჩარევის შემდეგ კონფლიქტი ამოიწურა.

17 აპრილს რუმინული სარაკლო ფრეგატი „მარაშუმტის“ საშუკუდმფერნო ანგარში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც სწავლებებში მონაწილე ქვესეე ქვეყნის ხომალდის მეთაური ესწრებოდა.

კომანდორმა კონსტანტინ ჯიორიოპამ შედეგები შეაჯამა და აღნიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით ამჟე-

რად ეკიააჟები ბევრად უფრო შეთანხმებულად მოქმედებდნენ. მას კინტიც არ დაუძრავს ქართული და რუსული ხომალდების მეთაურების იმ კონფლიქტზე, რომლის თეიომიხილველებიც უკრაინელი ჟურნალისტები აღმოწინდნენ.

ზღვაში BLACKSEAFOR-ის ხომალდების ეკიააჟთა მოზადებისა და მოქმედების ხარისხი ევსს არ იწვეს, მაგრამ რეალურ ვითარებაში შექმნილი ცოდნა-გამოცდილების გამოყენება კითხვებს ბადებს.

2008 წლის აგვისტოში, რუსული აგრეხის დღეებში, BLACKSEAFOR-ის

მორიგი აქტეაცია საქართველოს გარეშე ჩატარდა და 5 ქვეყნის ხომალდებმა ცურვა წვეულ რეჟიმში განაგრძეს. თითქოს საქართველოს სანაპიროზე არც არაფერი ხდებოდა.

BLACKSEAFOR-ის სწავლებათა მიზანია შვეიცარიისპირა ქვეყნებს შორის მგობრობის, კვილ ურთიერთობათა და ნდობის გაღრმავება, რომელიც 2008 წლის იმის შემდგომ ორ პარტნიორ ქვეყანას შორის დაბრდა. თუმცა გარეგნულად ერთიანობის სულისკვეთება შენარჩუნებულია და ბოლო აქტეაცია ამის დემონსტრირება მოახდინა.

თეშურ ჩანანიძე

სევასტოპოლი — ქართული საპატრულო „სოხუმი“ და მის გვერდზე მდგომი უკრაინული მტრალაი ხომალდი „ჩერკესი“



ქართული სა რუსეთისთვის საკოლოდ იკეზება

გიუმრის რუსული სამხედრო ბაზა შეიკლება სოხეთის ავიაციის მოაზარებლად



გიუმრისთან არის განთავსებული, საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსეთიდან მომარაგებინა.

იმ მომენტისთვის საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფლებისთვის პოლიტიკურად მომგებიანი იყო რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან რაც შეიძლება სწრაფად გაეყვანა, ამიტომაც იფიციალურმა თბილისმა დაღო ხელშეკრულება მოსკოვთან, რომელიც საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსული სამხედრო ტვირთებისა და პერსონალის ტრანზიტს ითვალისწინებდა.

მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა 2006 წლის 9 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება, რომელიც ამ შეთანხმების შესრულების უზრუნველყოფას ითვალისწინებდა.

ბრძანებაში დაკონკრეტებული იყო ის პირობები, რომელთა შესრულება აუცილებელი იყო ასეთი ტრანზიტებისთვის. კერძოდ, გიუმრის 102-ე სამხედრო ბაზაში მოსამსახურეებს საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას უნდა წარმოედგინათ რუსეთის მოქალაქის პასპორტი საქართველოს სატრანზიტო ვიზითა და ბაზაში სამსახურის დამადასტურებელი მოწმობა.

რუსეთის მხარეს თბილისისთვის

წინასწარ უნდა მიეწოდებინა კალენდარული წლის განმავლობაში გადასატანი სატრანზიტო ტვირთის მაქსიმალური მოცულობა, აღწერილობა სამხედრო ტვირთების სახეობების მიხედვით და საფრთხის შემცველობის ხარისხი.

განსაკუთრებით ზაზგამსული იყო, რომ საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსეთიდან სომხეთში შეტანილი სამხედრო ტვირთის საბოლოო დანიშნულების პუნქტი არ უნდა ყოფილიყო კონფლიქტის ზონაში ან იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც საომარ მდგომარეობაში იმყოფება.

აქედანვე ჩანს, რომ ხელშეკრულებაში ეს ბოლო პუნქტი ნამდვილად ვერ შესრულდებოდა, თუკინდ რუსული იარაღი არც მოხვედრილიყო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტურ ზონაში, რადგან თავად სომხეთსაც აზერბაიჯანთან, ფაქტობრივად, „ცვი ომი“ აქვს.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ბოლო ნებართვა თბილისმა რუსული სამხედრო ტვირთის სომხეთში ტრანზიტზე 2008 წლის ივლისში გასცა, ანუ ავკის-ტოს ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. ამის შემდგომ თბილისი უარს ეუბნებოდა რუსეთს ახალ მიმართულებებზე.

ამ დოკუმენტს ხუთწლიანი ვადა

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ თითქმის სამი წელი გავიდა, მაგრამ ისევ მოქმედება 2006 წლის 31 მარტის ხელშეკრულება „საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის საქართველოს ტერიტორიის გავლით სამხედრო ტვირთებისა და პერსონალის ტრანზიტის ორგანიზების შესახებ“.

ეს მით უმეტეს ნონსენსი იყო იმის ფონზე, რომ ავკისტოს ომის ხუთი დღის განმავლობაში რუსეთის სამხედრო ავიაციამ საქართველოს საჰაერო სივრცეში რამდენიმე ასეული საბრძოლო გაფრენა შეასრულა და დაბოშა დასახლებული პუნქტები.

ამის შემდეგ რუსეთის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების ფრენა რუსეთიდან სომხეთში საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით მართლაც წარმოუდგენელი ჩანდა, თუცა ზემოხსენებული ხელშეკრულება დღემდე მაინც არ იყო შეწყვეტილი.

თავის დროზე ამ ხელშეკრულების დადება ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა. მაშინ მოსკოვი, როგორც იქნა, დათანხმდა თავისი ორი სამხედრო ბაზის (ბათუმსა და ახალქალაქი) ლიკვიდაციასზე საქართველოში, რაც მას კიდევ 1999 წლის სტამბოლის შეთანხმების მიხედვით უნდა გაეეთქვინა.

2006 წელს, რუსული ბაზების გაყვანის პარალელურად, მოსკოვმა თბილისს სთხოვა, 102-ე რუსული სამხედრო ბაზა, რომელიც სომხეთში, ქ.

გიუმრის ბაზასთან საბრძოლო მზადყოფნაში მდგარი რუსული C-300B ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემის გასაშვები დანადგარი



ერენის გარეუბნის სამხედრო აეროდრომზე 18 ცალი რუსული მიგ-29 ტიპის გამანადგურებელი განთავსებული, რომლებიც სისტემატურად დაფრინავენ სომხეთ-საქართველოს საზღვრის სიახლოვეს, განსაკუთრებით კი მარნეულში ქართული სამხედრო-საპაერო ბაზის შორიახლოს



2011 წლის ნოემბერში ქურება, რის გამოც 6 თვით ადრე საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს მიმართა ამ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. პარლამენტმაც იმავე დღეს, ოპერატიულად, ერთხმად მიიღო დეკლარაცია შეწყვეტილება.

რა ნაბიჯი შეიძლება გადადგას მოსკომა საპასუხოდ?

გიუმრის 102-ე რუსული სამხედრო ბაზა კრემლის მთავარი სამხედრო ფორპოსტი იყო სამხრეთ კავკასიაში, სანამ რუსეთის საოკუპაციო ძალები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მე-4 და მე-7 სამხედრო ბაზებს არ შექმნიდნენ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად.

მიუხედავად ამისა, გიუმრის რუსული სამხედრო ბაზა მნიშვნელობას არ კარგავს როგორც მოსკოვისთვის, ისე ერენისთვის, რადგან რუსეთ-სომხეთის შორის გასულ წელს დადებული ხელშეკრულების თანახმად, რუსული ბაზა თავის თავზე იღებს სომხეთის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას.

გიუმრის რუსული სამხედრო ბაზის რიცხვითობა დაახლოებით 5 ათას კაცს შეადგენს. მის შეიარაღებუმა ფე-მანტეკნიკისა და არტილერიის გარდა, C-300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემები და მიგ-29 ტიპის (18 ერთეული) გამანადგურებლებიცაა.

ამხელა სამხედრო შენაერთს, ბუნებრივად, შეეძლება სჭირდება მომარაგება და უზრუნველყოფა, ოუნდაც ახალწევულებით შევსება და დემობილიზებულების რუსეთში დაბრუნება.

აზერბაიჯანიდან საპაერო და, მით უმეტეს, სახმელეთო ტრანზიტი წარ-

მოუდგენელია, იგევე შეიძლება ითქვას თურქეთზეც. რჩება ერთადერთი სახმელეთო და საპაერო გზა ირანის გავლით, მაგრამ ეს ბევრად შორი გზაა და შესაბამისად დიდ დანახარჯს მოითხოვს.

არის კიდევ ერთი საშუალება, რომლის გამოყენებითაც რუსეთმა შეიძლება განაგრძოს ბაზის მომარაგება სომხეთში — ეს არის ქართული საპაერო სფერეცე.

სომხეთის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები (მათ შორის — ორი ილ-76 ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი, თითოეულს 40 ტ-მდე ტვირთის წაღება შეუძლია) სისტემატურად დაფრინავენ რუსეთში და ერეკანში შეიარაღება და ტყვია-წამალი ჩამოაქვთ.

მაგალითად, გასულ წელს რუსეთი-

დან სომხეთში მიძიე სატრანსპორტო თვითმფრინავებმა „რუსლანებმა“ რამდენიმე რეისით C-300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემის რვა გამშვები დანადგარი, მართვის პუნქტი და რადიოლოკატორები ჩაიტანეს.

ოფიციალურად განხმურდა, რომ ეს შეიარაღება სომხეთის არმიისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ თვორიულად (და შეიძლება პრაქტიკულადაც) არსებობს იმის შანსი, რომ საქართველოს საპაერო სფერეცე ტრანზიტით რუსეთიდან სომხეთისკენ მფრინმა სატრანსპორტო თვითმფრინავმა რამდენიმე ათეული ტონა ტყვია-წამალი მარტო სომხეთის არმიას არ ჩაუტანოს და მისი ნაწილი გიუმრის რუსულ სამხედრო ბაზასაც არეუნოს.

ირაკლი ალადაშვილი

სომხური და რუსული დანაყოფები ერთობლივ წვრთნებს ხშირად ატარებენ სომხეთის პოლიგონზე





ისრაელთან გაფუჭებული სამხედრო ურთიერთობა...

„აღზივისა“ და სხვა ებრაული ფირმების ნასვლა გაართულავს ისრაელის წარმოების იმ საბრძოლო ტექნიკისა და აღჭურვილობის უმადგომო ამსალუბატსიას, რომლებიც ქართული არმიის შეიარაღებაშია

ბოლო ხანს საქართველო-ისრაელის ორმხრივი სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა შექვევტის პირას დადგა.

ებრაულმა ფირმებმა, რომლებიც სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციას აწარმოებენ, თითქმის მთლიანად შექვევტეს ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებთან, მათ შორის — ძალღუნ სამინისტროებთან.

ამას პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე სუბიექტური მიზეზები აქვს.

2008 წლის აგვისტოს ომამდე საქართველო-ისრაელის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა ზენიტში იყო, ქართული არმია და პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმები ინტენსიურად იარაღღებოდნენ ისრაელის წარმოების ულტრათანამედროვე საბრძოლო ტექნიკითა და აღჭურვილობით.

2004 წელს, „კარღების რევილუციიდან“ ცოტა ხანში, ჯერ კიდევ არსებულმა შინაგანმა ჯარმა ისრაელისგან

იყიდა რამდენიმე ათეული თანამედროვე Tavor-ის ტიპის ავტომატური შაშხანა, რომლებიც „ცახალის“ შეიარაღებაშიც იმ წელს მიიღეს.

ავტომატურ შაშხანებზე უფრო მნიშვნელოვან შენაძენად იქცა ცნობილი ებრაული ფირმა Elbit Systems-ის Hermes 450 და Skylark-ის ტიპის უპილოტო საღაზვერო თვითღფრინავები.

პარალელურად „ელბიტმა“ დაიწყო სამოღწრინზაციო სამუშაოები. ებრა-



2004 წელს პირველი ებრაული Tavor-ები შინაგანმა ჯარმა მიიღო

ელმა ინჟინრებმა თბილისის საჟაიაციო ქარხნის სპეციალისტებთან ერთად საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების რამდენიმე მთიანეთში Su-25KM Scorpion-ის დონემდე გააუჭვობეს. ამ მთიანეთში ახალი სახელი — „მიძინო“ მიღეს და მათი საბრძოლო შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

„ელბიტმა“ თბილისის სატანკო ქარხნის სპეციალისტების დახმარებით ქართული არმიის რამდენიმე ათეული T-72 ტიპის ტანკი T-72 Sim1-ის დონემდე გააუჭვობეს. მოდერნიზებული ტანკებში ცეცხლის მართვისა და დამზინების თანამედროვე სისტემა ჩადგეს, რამაც ეკიპაჟებს უფრო ზუსტად (განსაკუთრებით კი დამთ) სროლის საშუალება მისცა.

ისრაილისგან საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შეიძინა ზაღპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების Lar-160-ისა და Grad-Lar-ის დანადგარები. ისინი (განსაკუთრებით Lar-160) საბჭოთა Grad-ისგან განსხვავებით გამოირჩევიან სროლის შეტი სიზუსტითა და სიმართლით.

„ელბიტს“ სპეციალისტებმა ცეცხლის მართვის თანამედროვე ელექტრონული სისტემით აღჭურვეს ქართული არტილერიის არსებულმა არსებულმა ჩეხოსლოვაკური RM-70 ტიპის ზაღპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები.

ისრაელმა ქართული არმიის წარმომადგენლებმა შეისწავლეს საბრძოლო ტექნიკისა და არტილერიის შესანიღბი სპეციალური კამუფლირებული ბადეების რამდენიმე ათეული კომპლექტი.

და ბოლოს, საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველაზე მნიშვნელოვან და ამჟამად დროს გასაიდუმლოებულ შენაძნად იქცა ებრაული ფირმა „რაფელის“ მიერ წარმოებული Spider-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი.

ებრაული ფირმებისაგან ვეიდლობდით სხვა აღჭურვილობას და ცეცხლსასროლ იარაღს (მაგალითად, პატრულისთვის „აერბოს“ პისტოლეტებს და Wolf-ის ტიპის ჯავშანმანქანებს), მაგრამ ეს ზემოხსენებულ ჩამონათვალთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი გახლდათ.

2008 წლის აპრილ-მაისში სეპარატისტული აფხაზეთის თავზე რუსულმა მხარემ აჯიკამანდგურებლითა და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით სამი ქართული Hermes 450 ჩამოაგდო, რის შემდეგაც ოფიციალურმა თბი-



„ელბიტის“ მიერ მოდერნიზებული ქართული T-72 Sim1-ები რუსებს ნალაფარის სახით მიჰყვო...

ლისმა განაცხადა, რომ ისრაელისგან 40 უპილოტო საფრენი აპარატი იყიდა.

აგვისტოს იმის დროს ებრაული უპილოტო სადაზვერეო საფრენი აპარატები ქართულ არმიას აქტიურად და ეფექტურად არ გამოუყენებია, სამაგიეროდ სხვა ებრაულმა იარაღმა დიდი დარტყმები მიაყენა სეპარატისტებსა და ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრილ რუსეთის სამხედრო დანაყოფებს.

ქართულმა მხარემ აქტიურად გამოიყენა Lar-160-ის ზაღპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, რომლებიც ქართული არმიის ყველაზე მორმსროლი საარტილერიო საშუალება იყო (სროლის მაქსიმალური მანძილი 45 კმ). მოდერნიზებულმა მთიანეთში

„მიძინო“ ერთი საჰაერო დარტყმა მიაყენა რუსულ ჯავშანკოლონის ცხინვალისკენ მიმავალ გზაზე.

T-72 ტიპის მოდერნიზებული ტანკებიდან ნასროლი ჭურვები უფრო ზუსტად ხვდებოდა სამიზნეებს, ვიდრე რუსების T-72-ებისა.

მიწინააღმდეგე მხარისათვის სრულ მოულოდნელობად იქცა საქართველოს საჰაერო თავდაცვის მიერ გამოყენებული Spider-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, რომლის სითბური დამზინების Python 5 ტიპის საზენიტო რაკეტებმა, სურაულოდ, რამდენიმე რუსული საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოაგდეს ან დაზიანეს.

ებრაული წარმოების შესანიღბი კა-



ქართულ RM-70-ებზე „ელბიტმა“ ცეცხლის მართვის კომპიუტერული სისტემა დააყენა



ებრაული Lar-160 პარლამენტის წინ

მუფიდობის ბაზები გადამარებული პქონდა კარალებთან საცეცხლე პოზიციანზე მდგარ RM-70-ებს, რაც რუს პილოტებს მათ აღმოჩენას უწევდა.

სკითხვებში არ უნდა იფიქროს, რომ ისრაელში ნაყიდი შეიარაღება მართლაც განსაკუთრებული და შეუღარებული იყო. მაგალითად, Lar-160-ის რამდენიმე პაკეტიდან ნასროლომა 160 მმ კალიბრის უმართავმა რაკეტებმა ფრენის ტრაექტორია შეიცვალეს და კასეტური ქობინები რუსული ჯეშანკოლონების ნაცვლად ქართული სიფლების იაფზე გაშალეს. ამის გამოსაძიებლად ომის შემდგომ ებრაული ფირმის წარმომადგენლებიც კი იყვნენ საქართველოში გამოძახებული.

ისრაელში ნაყიდ შეიარაღებას აუცილებლად სჭირდებოდა საბრძოლო კომპლექტის შევსება, გარემონტება, მოდერნიზაცია, ოქმა 2008 წლის აგვისტოს შემდგომ ისრაელი-საქართველოს

სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა მოულოდნელად ერთ ადგილზე გაიყინა. ამის მიზეზი მაშინ დიდი პოლიტიკა

გახდა. მოსკოვი უკმაყოფილო იყო, რამ ებრაული ფირმები ქართულ არმიას აიარალებდნენ, რითაც ქართულმა მხარემ საქართველოში შემოჭრილ რუსულ არმიას დანაკარგი მიაყენა.

მანამდე პროტესტს, როგორც წესი, მხოლოდ ისრაელი უცხადებდა რუსეთის იმის გამო, რომ მოსკოვისგან საბრძოლო ტექნიკასა და იარაღს ყიდულობდა სირია, რომელიც შემდგომ ტერორისტული ორგანიზაცია „ქაზხოლას“ ხელში ხვდებოდა და მას „ცახალის“ წინააღმდეგ იყენებდა.

თულ-აფგანში არანაკლებ აღელვებით რუსეთის მიერ ირანისთვის C-300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემების მიყიდვის საკითხიც, რადგან თუკი ირანის ცას მართლაც დაიკვიდნენ ეს შედარებით თანამედროვე საზენიტო საშუალებები, ისრაელის საბრძოლო ავი-



„ელბიტმა“ „მინიმოს“ პილოტის კაბინა ულტრათანამედროვე გახადა

Grad-Lar-ები ადღუმე





2009 წლის სექტემბერში თავდაცვის სამინისტრომ რუსთაველის გამზირზე ისრაელში ნაყიდი ეს უპილოტო Skylark-იც გამოიწვია

აქცის უდიდესი დანაკარგი ელდრა ირანიისთვის საპაერო დარტყმის მიყენების შემთხვევაში.

დროთა განმავლობაში თულ-ჯეისისა და მოსკოვის ინტერესები თანმხვედრი გახდა და რუსეთმა შეაჩერა C-300-ის მიყიდა თირანისთვის, სამავგიროდ ისრაელმა აღარ მიაწოდა საქართველოს Spider-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები და საზენიტო რაკეტები.

მიგვიანებით, 2010 წელს, რუსეთმა „ელბიტისგან“ და სხვა ებრაული ფირმებისგან თითქმის 100 მლნ დოლარის სხვადასხვა ტიპის უპილოტო სადაზვერეო საფრენი აპარატები შეიძინა. განიხილება ასევე საკითხი რუსეთის ერთ-ერთი საავიაციო ქარხანაში ებრაული სპეციალისტების დახმარებით უპილოტო საფრენი აპარატების ერთობლივი წარმოის გახსნის თაობაზეც. როდესაც ასეთ ფინანსურ გეგმებსა ლაპარაკი, ებრაული ფირმები და მათ შორის „ელბიტის“, ბუნებრივად, რუსეთთან თანამშრომლობას არჩევენ და შწყვეტენ საქმეს საქართველოსთან, მათ უმეტეს, რომ ეს რუსული მხარის კატეგორიული მოთხოვნა იქნებოდა.

ამ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მხარეს გასულ თვეს წმინდა იურიდიული პრობლემაც დაემატა. „ელბიტმა“ დიდი ბრიტანეთის უმაღლეს სასამართლოში საქართველოს ხელისუფლებას უჩივლა და 100 მლნ დოლარის გადახდა ითხოვა იმის გამო, თითქოს ქართულ მხარეს 2007 წელს გაყიდვებული კონტრაქტის პირობები არ შეურყვანებია.

ოფიციალური თბილისი კატეგორიულად უარყოფს ებრაული ფირმის პრეტენზიებს, თუკ არ აკონკრეტებს, რომელ ხელშეკრულებაზეა ლაპარაკი.

შილოდ იმის თქმა შეიძლება, რომ 2007 წელს „ელბიტთან“ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მილაპარაკებას სწორედ ზემოხსენებული უპილოტო სადაზვერეო თვითმფრინავების შექმნასა და ტანკების მოდერნიზაციაზე აწარმოებდა.

ის გარემოება, რომ „ელბიტს“ მიერ სარჩელით მოთხოვნილი 100 მლნ დოლარი ეკვეფალენტია იმ თანხისა, რის გამოც საქართველოში ორი ებრაული ბიზნესმენი სულ ცოტა ხნის წინ გაასამართლეს, ეჭვს ბადებს.

ამ ეკონომიკური პრეტენზიების გარდა, კიდევ ერთმა ებრაულმა პოლიტიკურმა ცენტრმა ებრაული გამოწვევა გამოუგზავნა ოფიციალურ თბილისს. Global CST-ს ხელმძღვანელები, ვადამდგარი ებრაელი გენერლები, მოსკოვის გუფლით ოკუპირებულ აფხაზეთს ესტუმრნენ და ადგილობრივ სეპარატისტულ

ხელისუფლებას სამხედრო დახმარება და სპეცდანიაციების მოწოდება აღუთქვს.

ეს მართლაც არამეგობრული ნაბიჯია და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ისრაელის საელჩომ ეს მხრილოდ კერძო პირების ვიზიტად შეაფასა, მძელი დასაჯერებელია, ისრაელის ხელისუფლება საქმის კურსში არ ფიცილი. ჩანს, ისრაელ-საქართველოს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა ზემოხმოთვლილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მიზეზებით გაიყინა (დროებით მაინც).

რამდენად შეიძლება იმოქმედოს ამ ფაქტორმა საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნაზე? ისრაელისგან ნაყიდი საბრძოლო ტექნიკის, შეიარაღებისა და ადჭურვილობის წილი ქართული არმიის არსენალში საკმაოდ მცირეა. თუკაც ასეთი თანამშრომლობის გაყინვის გამო ძალზე გართულდება ქართულ არმიამ შეიარაღებაში არსებული ისრაელის წარმოების ზღაპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების Lar-160-ის, Grad-Lar-ის, საზენიტო-სარაკეტო Spider-ის, მოდერნიზებული T-72 Sim1-ების, მთავრით „მისიონების“ და სხვა ებრაული ადჭურვილობის ექსპლუატაცია, რემონტი და მოდერნიზება.

თუკ ებრაული მხარე, და უპირველესად „ელბიტს“, შწყვეტს ქართული არმიისთვის მიყიდული და მოდერნიზებული საბრძოლო ტექნიკის ინფორმაციულ უზრუნველყოფას (მათ შორის — GPS-ს სისტემის), მაშინ მათი საბრძოლო ეფექტურობა მნიშვნელოვნად შემცირდება.

ირაკში ალადგაშვლილი

Spider-იდან გაშვებული საზენიტო Python 5-ები აგვისტოს ომის ვეულაზე დიდ მოულოდნელობად იქცა რუსეთისთვის





ჩრდილო კავკასიაში საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილება

...საგაზიარებელი ჩრდილო, დასავლეთი და სამხრეთი კავკასიაში ურთიერთობების განვითარების შესახებ

დაღესტნური ბატალიონი საბრძოლო მოწყობისას

ჩრდილო კავკასიაში კვლავინდებურად დაძაბული ვითარებაა, განსაკუთრებით დაღესტანსა და ყაბარდო-ბალყარეთში. ამის გამო ორივე რესპუბლიკაში მარტში დამატებითი შინაგანი ჯარების 6 ათასი სამხედრო შევიდა.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი შტაბის უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ სერგეი ბუნინის თქმით, დამატებითი ძალები ჩრდილო კავკასიაში განლაგებული შინაგანი ჯარების გადაჯგუფების ხარჯზე შეიყვანეს.

ამჟამად ჩრდილო კავკასიაში შინაგანი ჯარების დაჯგუფება დაახლოებით 20 ათას სამხედროს თვლიეს.

პარალელურად რუსული ძალები სტრუქტურები მონაცემებს აურევლებენ ჩატარებული კონტრტერორისტული ოპერაციების, ლიკვიდირებული მოწყობების თუ ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღის რაოდენობაზე, მაგრამ რეალურადაც სტრუქტურისგან განსხვავებულია, რაც რეგიონსა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ნაკლებად აისახება, ხოლო ვითარების ნორმალიზაციამდე ვერ კიდევ ძალიან შორს არის, არადა, სოჭის ოლიმპიადამდე კარგა მომდგარი.

ბოევიკებთან ბრძოლისთვის გამოყოფილი ადგილობრივი მილიცია-პოლიციის, მილიციის სპეციალური რაზმების (ოძონი), სპეცდანიშნულებისა და შინაგანი ჯარების ოპერატიული ქვედანაყოფების ძალისხმევა სასურველ შედეგს არ იძლევა.

შარშან ზაფხულში პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებში ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტებული ბატალიონების ჩამოყალიბების ინიციატივით გამოვიდა.

ბატალიონები სტრუქტურულად შინაგანი ჯარების დაქვემდებარებაში იქნება, მაგრამ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე გამოიყვანებიან.

ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტებული ბატალიონები ვითარებაში გარკვეულ-მოქმედებას უფრო სწრაფად შეძლებენ და ამან, წესით შედეგც უნდა მოიტანოს. ასე ფიქრობენ რუსი მაღალჩინოსნები.

2010 წლის ბოლოს დაღესტანში პირველი ასეთი ქვედანაყოფი ჩამოყალიბდა. მილიციის 450-ე ცალკეული სპეციალური მოტორიზებული ბატალიონი ქალაქ კასპისკშია დისლოცირებული და შინაგანი ჯარების 102-ე ოპერატიული დანიშნულების ბრიგადის შემადგენლობაში შედის.

ბატალიონი 600-მდე მილიციელს ითვლის. აღჭურვილია სხვადასხვა ტიპის დაჯავშნული ავტომობილებით და სპეცოპერაციებში მონაწილეობასთან

„კოსტოკის“ მებრძოლები 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს



ერთად მისი დანიშნულება საპატრულო სამსახური იქნება. დაგეგმილია კიდევ 2 ბატალიონის ფორმირება.

უფრო ადრე ეთნიკური ბატალიონები ჩეჩნეთში ჩამოყალიბდა. შინაგანი ჯარების 46-ე ოპერატიული დანიშნულების ბრიგადის შემადგენლობაში შედის სპეციალური მოტორიზებული ბატალიონები — 248-ე „სევერი“ და 249-ე „ოუგი“. ორივე ბატალიონი ჩეჩნეთის პრეზიდენტის, რამზან კადიროვის დაქვემდებარებაშია და მას „კადიროვის გვარდასაც“ ეძახიან.

კიდევ ორი ჩეჩნური ბატალიონი „კოსტოკი“ და „ზაჰაიდი“ რუსეთის გენერალური შტაბის მთავარი სადანიშნულო სამმართველოს დაქვემდებარებაში იყო და შიდადაპირისპირების გამო დაიშალა.

„კოსტოკის“ სახელი საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობით გაითქვა.

ჩეჩნების ასეული დახლეობით 80 კამდე ავტომანქანებით (BTR-80, 2 BМП-2 და 3 МТЛБ) ე.წ. რუსული „სამშვიდობო ძალების“ შემადგენლობაში შედიოდა.



აღზრდის კავკასიური მეთოდი რუსულ არმიამ

2008 წლის 9 აგვისტოს დღით ასეული ცხინვალში შემოვიდა და რამდენიმე დღის შემდეგ გორისკენ წამოვიდა. სიოფლ მინდისთან გზაზე ჩქინები განადგურებულ ქართულ კოლონას გადაუყარნენ და „ლენდ-როვერი“ წაიყვანეს, თან ხელს რკინიგზის ზაზიდან ჩამოსხნილი სპილენძის საღებავიც გააყოფეს.

ჩქინური არმიული ბატალიონების ბედი გაიზიარა ჩრდილოოსურმა ბატალიონმა „ალანია“, რომელიც ცხინვალის რეგიონში ე. წ. რუსული „სამშვიდობო ძალებს“ შემადგენლობაში ოსურ მხარეს წარმადგენდა და, ფაქტობრივად, ადგილობრივ ბოვიკთა მოსამზადებელი ცენტრის დანიშნულებას ასრულებდა.

მარშან გაფაზხულზე ბატალიონი დაიშალა, რაც ადგილობრივი სამხედროების უკმაყოფილებას მიზეზიც კი გახდა.

საერაოდოდ, ახლო მომავალში ინგუშეთში ვაზარდობებით, ჩერქეზეთში, ადიღებთა თუ ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებით დაკომპლექტებული ბატალიონებიც შეიქმნება, მით უფრო, რომ ზოგიერთი ჩრდილოკავკასიური ხალხის წარმომადგენლები რუსულ საქმეს აუზახეთის ომში თვალდაღებით ემსახურებიან.

რამდენად შედეგიანი იქნება კავკასიური ბატალიონებით კავკასიელ ბოვიკთა დამარცხება, ძნელი სათქმელია და ამ გვემის ზორცემუსხმელებსაც, ალბათ, ამის თვალდაც არც ხელრათი სხვათა შორის, 2010 წლის თებერვალში, ერთ-ერთი სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ, რუსეთის შინაგანი ვარების სპეცრაზმმა ბატალიონ „სვეტრის“ მებრძოლები პოხციების გამქლავებებში დაადანაშა-

ულა, რასაც 4 რუსი სპეცრაზმელის დაღუპვა მოჰყვა.

კავკასიური ბატალიონების ჩამოყალიბებასთან ერთად რუსეთის არმია გასაწვევ ჩრდილოკავკასიელთა რაოდენობას მკვეთრად ამცირებს.

ჩრდილო ოსეთში 1000 კაცია გასაწვევი, როცა წინა საშემოდგომო გაწვევა 2200 წვეკმდელს შეუი. დაღესტანში ეს მაჩვენებელი 4 ათასიდან 400-მდე, ხოლო ვაზარდობ-ბაღდაყრეთში კი 1500-დან 800-მდე შემცირდა. ჩქინეთში წვეკმდლები აღრიცხვავ აყვით, მაგრამ ვარში არ მაკვით.

ოფიციალურ მიზეზად მთლიანად რუსეთში გასაწვევი კონტინგენტის შემცირებაა დასახელებული, თუმცა ამის უკან სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები დგას.

ჩრდილო კავკასიაში როული ვითარება წვეკმდლებზეც აისახება, რაც სამხედრო ნაწილებში ეინიკური დაბირისბირების მიზეზი ხდება. შემდგომ უკვე არმიამ მიღებული ცხიურებისუელი თუ სამხედრო განათლება არაერთ კავ-

კასიელს არჩვენის ბოვიკთა სასარგებლოდ გაკეთებაში დაქმნარა.

მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდლის ვოივილი მოადგილე, თადარიგის გენერალ-მაიორი ანდრეი დორონინი მიიწვეს, რომ „ასეულში ათზე მეტი კავკასიელი წვეკმდელის ერთად ვიფინა პრობლემების წინა პირობაა. მაშასადამე, დაუშვებელია მათი კონცენტრირება ერთ ადგილას“, — დაასკვნის რუსი გენერალი.

რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია საქმის სხვისი ხელით გაკეთება, ერების ერთმანეთზე გადაკედება და შემდეგ „შევიდობიან“ დათვად თავის წარმოქნა.

P.S. არმიამ გასაწვევ კავკასიელთა რიცხოვნობის შემცირების შესახებ ინფორმაციის რუსული მედიით გერეკვლების შემდგომ თვალცეკვის სამინისტრომ გადაწყვეტილება შეეცალა და დაღესტანს გასაწვევი კონტინგენტი 400-დან 6 ათას წვეკმდელამდე გაუზარდა.

თხზურ ჩანახშიძე

მწვობრში დგომა არმიის ერთსულუნებას სულაც არ ნიშნავს





1944 წელს ფინეთის პარლამენტმა პრეზიდენტად მარშალი მანერჰეიმი აირჩია

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ №8, 2011)

ფინეთი კა-გე-ბეს სრულიად

თლო პროცესს ჩაატარებდა და მერე პრეზიდენტის პოსტს პაასიკივი დაიკავებდა.

მართლაც, 1945 წლის 15 ნოემბერს, ჰელსინკიში „მცირე ნიურნბერგის პროცესი“ შედგა და პროცესმანული ძალები პრეზიდენტ მანერჰეიმის ხელთივე ციხეში გაუშვეს. სასამართლოზე პრეზიდენტის გუგუნი ბევრჯერ გაიფურა (რაც სტალინის წინასწარ ჰქონდა გათვლილი) და 1946 წლის მარტში მან პოსტი იძულებით დატოვა. პარლამენტმა პრეზიდენტად პაასიკივი, ხოლო პრემიერ-მინისტრად მაურო ჰეკალა დაამტკიცა. კუკონენი პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტს „დასჯერდა“.

სტალინის „ოპერატიული კომბინაციის“ პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა, მაგრამ მთავარი წინ იყო.

1948 წლის 6 აპრილს საბჭოთა კავშირ-ფინეთის შორის „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდამხმარების“ ხელშეკრულება გაფორმდა, რითაც საბჭოთა დე ფაქტო პოზიციებმა დე იურე სახე მიიღო. სტალინმა ფინელი „ტოპ-აგენტების“ — ჰეკალას, კუკონენის, ლეინონსა და სხვების პატივსაცემად მიღება გამართა და სტუმრებს ქართული ღვინითა და კრემებით გუგუნი დასასვენებდა, თან კეთილად ჩაიღობა და კუკონენს გაუგონა: „რას ფიქრობენ ფინელები ამ ხელშეკრულებაზე?“

შექვეფიანებულმა კუკონენმა დაუფიქრებლად უპასუხა: „ეს ხელშეკრულება კი არა, პაასიკივის დეტურგია!“. სტალინმა დიპლომატიურის წიგნების გადახედა: „მეც ხომ ამას გუგუნივლით! ფინელებმა მინც თავისი გაიტანეს“ — და უმსაქურდა ჩაიციანა.

50-იან წლებში საბჭოთა დაზვერვა ფინეთში ისე თავისუფლად გრძნობდა თავს, როგორც „ოკეზი — წყალში“ და ეს ეჭვგაშთა, „ჩეკარინდო“ საბჭოთა აგენტების მოსკოვში გასაქცევ სატრანზიტო დერეფნად გადაიქცა.

1950 წლის აგვისტოში ფინეთის გველით საბჭოთა კავშირში გამოიქცა კა-გე-ბეს „სუპერტოპიური“ „ჯამბუ“, ცნობილი ინტელიგენტი ფინოკიხი და ატომური ბომბის ერთ-ერთი თეორეტიკოსი ბრუნო პონტეკოროვი, შემდგომში სტალინის პრემიის ლაურეატი და საბჭოთა აკადემიკოსი.

ფინეთის ხელისუფლების უმაღლესი

მოხელეების საბჭოთა დაზვერვისთვის მუშაობა იმდენად გასაადვილებელი იყო, რომ თვით პოლიტბიუროს წევრებაც არ ჰქონდათ ინფორმაცია.

1956 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა მოსკოვში ვიზიტად მყოფ ფინეთის პრეზიდენტ ურაო კუკონენს უმაღლეს დონეზე უმასპინძლა, რუსულ აბანოშიც კი მიიპატიო ავანტი-პრეზიდენტად და საბჭოთა კომუნისტთა ლიდერის კაპიტალისტური სმაროს წარმომადგენლის წინაშე გამომვლელმა საბჭოთა პოლიტბიუროს წევრები იმდენად ადამოვითა, რომ საგანგებო სხდომაზე ნიკიტას სულ შვიი დღე აყარეს. მათ რა იცოდნენ ვინ-ვინ იყო.

პრეზიდენტი კუკონენი თავის გამოხვლებში ხშირად სარგებლობდა საბჭოთა დაზვერვის მიწოდებული ცკ-ს დირექტივებით და საბჭოთა კავშირსა თუ მის ლიდერებს ხოტბა-დღებებს არ აკლებდა. კა-გე-ბეს ფინეთის ხელისუფლება „ჯიბებში“ იმდენად ჰყვარა, რომ რატა საბჭოთა დაზვერვის „ფილიალ“ — „მშვიდობის მსოფლიო ორგანიზაციის“ შტაბბინა 1968 წელს პარიზში გამოაძვეეს, ჰელსინკი თუ თავმჯდომარე უმაღლეს მსცა.

საბჭოთა დაზვერვის მთავარი ამოცანა ხელისუფლების სათავეში კუკონენის რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნება იყო. ამიტომაც მის პოლიტიკურ კონკურენტებს ყველა საშუალებით აშანტაჟებდნენ. ამის შედეგად კუკონენმა პრეზიდენტის პოსტზე 26 წელი (1956-1982წწ.) დაჰყო. სხვადასხვა ინფორმაციით, მისი ოპერატიული ფსევდონიმ „ტიმო“ გახლდათ.

ბრძოლა აგენტების აბორცონისთვის

ფინელი მაღალინოსანი აგენტების ხელმძღვანელობდა საბჭოთა დიპლომატიებისა და დაზვერვის რეზიდენტისთვის დაწინაურების და სამთავრობო ვიდელოების გარანტია იყო. ამ „გემრიელი ლუკმის“ ხელში ჩასაგდებად ფინეთში საბჭოთა ელჩსა და რეზიდენტს შორის დაბარისობრება პოლიტბიუროს სხდომაზე განხილვის საგანი ხშირად გამხდარა. 50-იან წლების ბოლოს ერთ-ერთი მინისტრ-აგენტის ხელმძღვანელობისთვის ვლწ ხაზაროვსა და რეზიდენტ ფინიხოვს შორის დაბარისობრება დამას უფინაროულ ჩხუბში გადაიხარდა. ორიენი მოსკოვში, ცკ-ში გამოიძახეს და



საველეური გამოუცხადეს. ივგე გენერალად ოცი წლის შემდეგ – საბჭოთა ელსობოლუკა და რეზიდენტ ვლადიმირუს შორის – ამჯერად უკვე კოკონენთან „ექსკლუზიურია“ კონტაქტებისთვის.

ფონი: გენერალ-მაიორი ვლადიმირი ვიქტორ მიხაილის ძე (1922-1995 წწ.) 1955 წლიდან მუშაობდა ფინეთის „მიმართულებით“. სადაზვერუო საქმიანობას წევრად პელსინკოში საბჭოთა საელჩოს საფარვეშე. 1970 წლიდან იყო რეზიდენტი. მოსკოვში დაბრუნების შემდგომ დაინიშნა საგარეო დაზვერვის სამმართველოს უფროსად. მისი ფუნქციები იყო: სსრკ-ში საქმიანი ანტურისტული მიზნებით ჩამოსული უცხოელების ვადამობრება; მათ წინააღმდეგ ხულოგურნი პროფკაცეებისა და „სასიფერულო საფანგების“ მოწოდება და დაფიქსირება და ა.შ.

ოცდაათი წლის შემდეგ ვიქტორ ვლადიმიროვმა თავის მოგონებებში დაასახელა 300-მდე ფინეთის მოქალაქე,

რომლებიც კა-გე-ბესთან თანამშრომლობდნენ. ბერ ცნობილ პოლიტიკოსს შორის ფინეთის ყოფილი პრეზიდენტები – კოკონენი და კოვიისტოც არიან დასახელებული.

ფინეთის „საიდუმლო ფონტზე“, კა-გე-ბეს გარდა, სამხედრო დაზვერვაც ძალზე აქტიურობდა. ათწლეულების განმავლობაში გრუ-დან, ჯერ უშუალოდ ფინეთში, ხოლო შემდეგ სკკპ ცკ-ს საერთაშორისო განყოფილებაში „ფინეთის მიმართულებაზე“ მუშაობდა პოლკოვნიკი ვლადიმირ ფიოდოროვი.

ინგლისის დაზვერვის აგენტისა და „შეთვისებით“ კა-გე-ბეს პოლკოვნიკი ილევ გორდიევსის მტკიცებით, 80-იან წლებში ბოლოს ფინეთში „თავდაუზოგავად შრომობდა“ კა-გე-ბეს 33 აგენტი, რომლებიც ამ ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასა და მთავრობაში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ. მათ შორის დასახელებულია ურაო კოკონენი, ფინეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი პაუო ვიאיურიუნენი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი კალევი სირსა. ეს მაღალჩინოსნები, საბჭოთა

სექსამასხურებში მიღებული კლასიფიკაციით, განეკუთვნებოდნენ „პირველი ჯგუფის კონტაქტებს“ და მათთან ოპერატიული კავშირი განსაკუთრებული სიფრთხილის გამო, მხოლოდ რეზიდენტს ჰქონდა.

1986 წლის 30 დეკემბერს სკკპ ცკ-მ „სრულიად საიდუმლო“ დადგენილება №18ტ-34/ბს მიიღო ნიშანდობლივი სათაური: „1987-1989 წლებში ფინეთში იდეოლოგიური მუშაობის კომპლექსური გეგმის შესახებ“. ამ ცამეტგვერდიან საიდუმლო დოკუმენტში დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი, თუ რომელ საბჭოთა სამინისტროსა და უწყებას რა ღონისძიებები უნდა ჩატარებინა, რომ „ე-რესტროისკის“ პერიოდში ფინეთზე გავლენა არ დაეკარგა.

ფინური ბაკჰეითილიაბი

თითქმის სამოცდაათი წელი გვიდა ფინეთში საბჭოთა დაზვერვის დამკვიდრებიდან, თუცა ფინეთში დღესაც შემოიხრ, რომ საბჭოთა აგენტურა „ემ-კეიდრეობით“ რუსეთის საექსამასხურებს ერგო.

ამ შორეული ქვეყნის ისტორია განსაკუთრებით ყურადსაღები უნდა იყოს ჩვენთვის. როგორც დეინახეთ, საბჭოთა, ივგე რუსეთის, სექსამასხურების მიერ „გუგუნის აგენტების“ ოპერატიული დამუშავება და კარიერულ წინსვლაში დახმარება მრავალი წლის ფარული მუშაობის შედეგია. საინტერესოა, ჩვენც ათწლეულების შემდეგ შევტივობთ ქართველი „გუგუნის აგენტთა“ ვინაობას?

ბასიმ ალადაშვილი

ექსპერტი ვრცელნი უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების ვადამდგარი პოლკოვნიკი



თალიზი
თმის ბადანარბვის კლინიკა



განკვენი 4 27 ბინა 25 37 38
www.talizi.ge

კავკასიური მოვლანების გერმანიის...



„აქტიურად დაეგმინათ“
MiG-29

ჯეოგრაფია

- 20 აპრილს ვარაზდამ იცეხლან შვეიცარიის რეისი კიდე ვიზიტი დაიწყო. სოციალურ პლატფორმის მასობრივად (სოციალურ რაიონი) არა მხოლოდ ვარაზდამი დაიჭრა, ფოტო ლემან მადლიაევის ფეისბუქის ბეჭედი, ხოლო ლემან მადლიაევი იღბი სპარსეთის მსუბუქე დაიარაღებულა.

- გერმანულ მიწებში და ვიდი კავალი 15-25 მასობრივი დატეხვის ამპლანგირების კრიზისი სწავლება „რეაქციული პასუხი-2017“.

- მიმდინარე წლის ფინანსი თვალყურის შემკობის მიზნებისა სწავლების რეკონსტრუქციის გეგმის, სადა პირველად გამოიყენეს სამხრეთ მეგობრობაში სამხედრო ტრენინგის არადა და სამხრეთ ტექნიკისა. შინ შორის იქნება ამერსაბიანის წყვილის დაეკონსტრუქციის ვერსიისა **Matador** და **Marauder**.

- სტრატეგის მიყიდვის პრობლემა ცეცვის ინსტრუქციის (SI-PRI) მიზანშეწონილი 2010 წელს ამერსაბიანის თვალყურს 1 მლნ 421 მლნ დოლარი დახარჯა, რაც 2009 წელს შედარებით 52 მლნ-ით ნაკლებია.

- სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის მიზანშეწონილი გაცემი თვის სახდურის დარღვევის 37 მესობი დაფიქსირდა, დაეცემა 69 კაცი, სადა იქნა 49 ამერსაბიანის, 8 – ადამიანის, 5 – არსის, 3 – საზღვრო

კონტრაქტი დაეკონსტრუქციისა. საბჭოთა პერიოდის გერმანიის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნის სტრატეგიულად არადა.

- გერმანულ სტრატეგია კომანა **Roberts** 244 მლნ დოლარის ექსპორტი გამოიყენება ამერსაბიანის. შვეიცარიის კომანა **OTO** 2017, რომელიც 23 მლნ დოლარის დაეკონსტრუქციისა ვერსიისა **Cobra Defender**-ზე შეეგმი.

სოციალი

- სტრატეგის მიყიდვის პრობლემა ცეცვის ინსტრუქციის (SI-PRI) მიზანშეწონილი 2010 წელს სოციალური თვალყურისა 404 მლნ დოლარი დახარჯა, რაც 2009 წელს შედარებით 45 მლნ-ით მეტია.

- 4 აპრილს პარლამენტი რუსული სამხედრო ბაზა გერმანიის კიდე 33 წელი, ანუ 2044 წელს დატეხა ამ გადაწყვეტილების შინი დატეხა 80-მასობრივად, ერთი წინააღმდეგე წიდი და ერთად თან შეეგმი. დატეხვის პარლამენტი თვალყურის მისი სტრატეგია არა ნახარჯისა არადა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის უსაფრთხოების დაცვას. წინა შინი-ბეჭედი კი რუსეთი ვიზიტი საბჭოთა რუსული სოციალური სახეობის დაცვის ვალდებულების დაცვა.

სოციალური არმის საზღვრო თვალყურის მოხელის კომპლექსის „OCA-AK“ ვარაზდამი საზღვრო სერვისი იცენ



გერმანიის...

- მეცნიერების ერთ-ერთი თვალყურისა უწყისი სტრატეგიული სამხედრო მუშაობის მიზანშეწონილი 50-მლნ დოლარის კონტრაქტი დაეკონსტრუქციისა გერმანიის შინი თვალყურისა უწყისი მუშაობის მიზანშეწონილი.



ქველავი წინააღმდეგე კონტრაქტი დაეკონსტრუქციისა გერმანიის შინი თვალყურისა უწყისი მუშაობის მიზანშეწონილი 55-60-მლნ დოლარი.



- გერმანულ-სოციალური არადა ცეცვისა ვიზიტი სწავლება რუსული გეგმისა დატეხვისა თვალყურისა რუსული სტრატეგიული სწავლების მიზანშეწონილი 50-მლნ დოლარის კონტრაქტი დაეკონსტრუქციისა გერმანიის შინი თვალყურისა უწყისი მუშაობის მიზანშეწონილი 55-60-მლნ დოლარი.

კომუნიკაცია რეპორტი

რეპორტი კავკასიის

- რეპორტი კავკასიის რუსეთის შინი მუშაობის მიზანშეწონილი უწყისი სტრატეგიული სწავლების მიზანშეწონილი 50-მლნ დოლარის კონტრაქტი დაეკონსტრუქციისა გერმანიის შინი თვალყურისა უწყისი მუშაობის მიზანშეწონილი.

კომუნიკაცია რეპორტი

- 13 აპრილს რუსეთის რაიონის სოციალური თვალყურისა უწყისი სტრატეგიული სწავლების მიზანშეწონილი 50-მლნ დოლარის კონტრაქტი დაეკონსტრუქციისა გერმანიის შინი თვალყურისა უწყისი მუშაობის მიზანშეწონილი.

სოციალური არმის ცხელის რეაქცია შინი სამხედრო სწავლების რეაქცია



„გზის თვალები უარს გარჩევ“



ბრძოლა მიკლა დისტანსიას

„არ ესროლოთ, სანამ არ გაარჩევთ მათი თვალების გუგის სიეთრეს...“

ვცე-პოლკოვნიკ სერ ენდრიუ აენიუსის ბრძანება შოტლანდიელი სამეფო ფუჟელიორებისთვის დეტინ-გენის ბრძოლაში (1743 წელი).

ახლო მანძილებზე ბრძოლა (Close Quarters Combat – CQC) არის საბრძოლო მოქმედების სახე, სადაც დანაყოფი მტერს უპირისპირდება პერსონალური იარაღით ძალზე ახლო დისტანციაზე, ხშირად ხელნართულ ბრძოლაში. ახლო მანძილებზე ბრძოლის ტიპური სცენარი თამაშდება მამინ, როცა შეტევაზე გადასული მებრძოლები ძალზე სწრაფად უახლოვდებიან მიწინააღმდეგეს, რომელსაც არა აქვს ბრძოლის ველიდან სწრაფად გასვლის შესაძლებლობა. ხშირია შემხვედრი ბრძოლის დროსაც, როდესაც ორივე მხარე მიზნის მიწვევას შეტევით ცდილობს. ახლო მანძილებზე ბრძოლა არ არის ხელნართული ბრძოლის სინონიმი, თუცა უმეტეს შემთხვევაში ხელნართული ბრძოლა არის მისი შემადგენელი და კულმინაციური ნაწილი. ახლო მანძილებზე ბრძოლა არის ხანმოკლე, ძალზე აგრესიული და დაუნდობელი.

შეიარაღებული ძალების საბრძოლო წესდებები, როგორც წესი, ასა-

ხვეს მხოლოდ საერთო-საჯარისო ბრძოლის ძირითად პრინციპებსა და ასპექტებს, რომლის დროსაც ქვედანაყოფები მოქმედებენ არტილერიის, ჯ/ტექნიკისა თუ საჰაერო მხარდაჭერით. არის ასევე ჯარისკაცის სამოქმედო სახელმძღვანელოები და მითითებები, მაგრამ ისინიც ვერ ასახავს სრულად იმ როლს ვითარებას, რომელიც შეიძლება ბრძოლის ველზე შეიქმნას. დასვლური საეულე წესდებები, რომლებითაც ხელმძღვანელებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, ახლო მანძილებზე ბრძოლა ძირითადად დასახლებულ პუნქტებში მოქმედების კონტექსტში განიხილება. არადა, ქართული შეიარაღებული ძალები მზად უნდა იყვნენ ნებისმიერ რთულ გარემოში (მთა, ტყე, დასახლებული პუნქტები) მოქმედებისთვის, სადაც მიწინააღმდეგე სრულად ვერ გამოიყენებს თავის ტექნიკურ უპირატესობას. ამავე დროს, რაც უფრო ახლოს ვიმოქმედებთ მასთან, ანუ როგორც სახედ-

როები იტყვიან, „ქამარში ჩავეჭიდებთ ხელს“, მით არაეფექტური გახდება მისი სარტილერიო-საჰაერო მხარდაჭერის შესაძლებლობები. ამ დროს დაპირისპირებულ მხარეებს ბრძოლა ძირითადად მხოლოდ საშტატო იარაღით მოუწევთ.


ახლო მანძილებზე შეტაკება შეიძლება მოუწიოს არა მარტო ქვეითებს, არამედ ჯ/ტექნიკის კეაიპებს, არტილერიის სისტემებისა თუ ტყვიამფრქვევების გათვლებს და ა.შ. შესაძლებელია, ყველა მათგანი მზად უნდა იყოს ინდივიდუალური იარაღის ეფექტურად გამოყენებისთვის.

ახლო მანძილებზე ბრძოლა არის ლოკალურ შეტაკებათა სერია, სადაც გამარჯვებას მებრძოლთა უნარი, ფსიქოლოგიური მდგრადობა და მომზადების დონე განაპირობებს, რადგან მცირე დანაკარგების შეთავრებს უშუალო სიახლოვეს მოქმედი მხოლოდ 2-3 ჯარისკაცის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა ექნებათ.



ჩვეულებრივი ხიშტი მოწინააღმდეგის განადგურებაზე იყო გათვლილი

თანამედროვე დანა-ხმშტის კო მრავალმხრივი დანიშნულება აქვს



დაეწყოთ იმ იარაღით, რომელთანაც ასოცირდება ახლო ბრძოლა და რომელმაც, ალბათ, ყველაზე ნაკლებად განიცადა ტექნიკური ცვლილება მას შემდეგ, რაც XVI საუკუნის ბოლოს ბრძოლის ველზე გამოჩნდა ეს მარტივი იარაღი ხმშტის სახით.

ბრიტანელები ხშირად შეტყვავებენ SA80-ზე მიმაგრებულ ხმშტებში (მიუხედავად იმისა, რომ SA80 კონსტრუქციულ თავისებურებათა გამო ხმშტის გამოყენებისთვის ყველაზე ნაკლებადაა მოსახერხებელი) გადადიან, ხოლო ამერიკელები კი M16-ებსა ან M4-ებს მათ გარეშე იყენებენ. მიუხედავად ამისა, ბოლო დრომდე სამხედრო მოსამსახურის მომზადების ამერიკულ სისტემაში ხმშტით ბრძოლას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა. ახლანა აშშ-ში კვლავ სამხედროებმა გადაწყვიტეს, რომ ხმშტით ბრძოლა აღარ არის რეალისტური თანამედროვე საბრძოლო ველზე, ამდენად წვრთნებში აქცენტი გადატანილ უნდა იქნეს ხელნართული ბრძოლაში იმპროვიზებული იარაღის გამოყენებაზე (ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, „ყველაფერზე, რაც ხელში მოგვხვდება“, მათ შორის — ხის ნატეხისა და ქვის ხმარებაზეც).

ცვლილებების აუცილებლობას საბუთებენ ავღანეთისა და ერაყის საბრძოლო გამოცდილებების ანალიზების შედეგებზე დაყრდნობით, სადაც ხელნართული ბრძოლის დროს მებრძოლი შაშხანას კეტყით ხმარობდა, ან დანითა და პისტოლეტით იბრძოდა. საინტერესოა, რომ ხმშტის ხმარებასთან ერთად ცვლილება განიცადა ტრადიციულმა 5-მილიანმა კროსმა, რომელიც გაზრდილი ინტენსივობის მოკლე დისტანციებზე ზეგზავმა, სპრინტმა და კუნთური მასის მოსამატებელი ვარჯიშების კომპლექსმა შეცვალა.

გადაწყვეტილება გარკვეულწილად განაპირობა იმ რეალობამ, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ ამერიკელი და NATO-ს წვრილ ქვეყნის სამხედროები — კროსოდ, რეკრუტების ჭარბმა წონამ და ფიზიკური მდგომარეობის დაბალმა დონემ.

აშშ-ის წვრთნებისა და დოქტრინების სარდლობის წარმომადგენლის გენერალ-ლეიტენანტ მარკ პერტგონის განცხადებით „წვრთნა თანამედროვე საბრძოლო ველის კონდიციების ადეკვატური უნდა იყოს“, ანუ, ექსპერტების აზრით, ჯობია ხმშტით ბრძოლის შესწავლის ნაცვლად, სამხედროებმა მეტი დრო დაეთმოთ ძალიანის მოსამატებელ ვარჯიშებს, რათა ითვალ შეძლონ ბრძოლის ველზე მძიმე ზურგჩანთებისა და ჯეუსანკეულტების ტარება, ან თუნდაც ამოიყვანონ თვითონი დაჭრილი თანამებრძოლი ცეცხლით დაჭრილი ტექნიკიდან.

ეს თვალსაზრისი ამერიკის სამხედ-

რო წვრთნებში ყველამ როდი გაიხიარა. მაგალითად, საზღვაო ქვეითთა სარდლობას მაინცა, რომ ხმშტით ბრძოლა უნდა დარჩეს აშშ-ის სამხედრო საზღვაო ქვეითთა ხელნართული ბრძოლის მომზადების სისტემის მნიშვნელოვან სექტორად. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელმა ქვეითებმა იარაღზე მომზადებული ხმშტებით იერიში სულ ბოლოს 1950 წელს კორეის ომის დროს, ცნობილი „სიმაღლე 180“-ის ადგილისა მიიტანეს. როგორც აშშ-ის საზღვაო ქვეითთა წვრთნებისა და განათლების სარდლობის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა: „რეკრუტები გაივლიან ხმშტით ბრძოლის სრულ კურსს, მათ შორის — ხმშტით დასერივის ტექნიკას (რომელიც თანამედროვე საიერიშო შაშხანისა და ხმშტის მოკლე ზომების გამო გახდა პოპულარული), ვინაიდან ეს აუცილებელია ავღანეთში“.

სულ სხვა მიდგომა აქვთ დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში. მოიყვანის რამდენიმე მაგალითი:

1982 წლის 13-14 თენისს, ფოლ-

ამერიკელ საზღვაო ქვეითთა მომზადების პროგრამაში ხმშტით ბრძოლის მომზადება ისევ რჩება





კორეის ომში ამერიკელი
ჯარისკაცები შაშხანასთან ერთად
ხიმტსაც მარჯვედ იყენებდნენ

კლენდის კრიზისის დროს, ბრიტანელებმა იერიში მიიტანეს ქალაქ სტენლის მახლობლად გაბრუნებულ სიმაღლეზე, მთა თამბლელოუნზე, რათა ეს სტრატეგიული წერტილი ჩასანგრებული არგენტინელებისგან გაეწმინდათ. იერიში დაიწყო ღამის 2:30 საათზე. არგენტინელთა ფორტიფიცირებული ტყვამფრეკვეთებისა და სნაიპერთა დამინებით ცეცხლის მიუხედავად, ბრიტანელებმა შედეგად შეუტეს და ხიმტში მარჯვედ იარაღით სიმაღლე გაწმინდეს. ბრძოლის დროს მაიორმა კისნელმა პირველმა მიაღწია მოწინააღმდეგის პოზიციებს, ხელნართულ შეტაკებაში ცეცხლით ორი და ხიმტით მესამე მოწინააღმდეგე გაანადგურა. მამაციობისათვის მაიორი კისნელი „სამხედრო ჯვრით“ დაჯილდოვდა.

22 წლის შემდეგ, 2004 წლის მაისში, ბრიტანეთის სამეფო შოტლანდიური სუბერლენდის პოლკის 20 მებრძოლი „ლენდ-როუერებით“ მიემართებოდა საბრძოლო ვარჯიშს. ქალაქ აპარიდან 15 მილის დაშორებით, ბასნა-ბაღდადის გზატკეცილზე, ქვედანაყოფი მოყვა რელიგიური ლიდერის, მოქიადა ალ-სადრის დახლოებით 100 შიიტი მებრძოლის ჩასაფრებაში, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ტრეპაი-ფრეკვეთებით, ყუმბარასატყორცნებითა და ნაღმსატყორცნებით. ორივე მანქანა პირველვე წამებზე გამოიღო წყობიანი. ბრიტანელებმა დაიკავეს დაკვიპო

პოზიციები და საცეცხლე დაპირისპირებაში ჩაებნენ. დაახლოებით 3-საათიანი ბრძოლის პოლკის ბრიტანელებს საბრძოლო მასალა გამოეცლია და ხიმტებით გადავიდნენ იერიშზე. ელვისებურად გადაკვეთს 150 მ-მდე ღია ვაკეში ზოლი და ეკვეთენ მტერს. სასტიკ ხელნართულ ბრძოლაში, სადაც მტრის უპირატესობა ერთი ხუთიდან იყო, მათ ხელდახელ გაანადგურეს მოწინააღმდეგის 20-ზე მეტი და ტყვედ აიყვანეს 9 მებრძოლი, თავად ბრიტანელებს კი 3 ჯარისკაცი დაეჭრა.

დასასრულ, კიდევ ერთი უახლესი მაგალითი კვლავ ბრიტანელების გამტკიცებლიდან: აგანეთში საბრძოლო დეალებს შესრულებისას მოტლანდიელთა სამეფო პოლკის მე-5 ბატალიონის ლიტენანტმა ჯეიმს ადამსონმა მამაციობისათვის „სამხედრო ჯვარი“ დაიმსახურა. მაშინ, როცა

შეიძლება ვინმე კონსერვატორად მიმჩნეოს, მაგრამ ვფიქრობ, ქართულ შეიარაღებულ ძალებში უნდა აღდგეს ხიმტი, როგორც შეიარაღების ნაწილი, ხოლო მებრძოლები მოხადნენ ხიმტის ჩმარების პროგრამით. სამისოდ საჭიროა:

* ვარჯიშების კურსი შეიქმნას გამოუმუშავებს მებრძოლის მენტალიტეტს და აერუსიულობას;

* მტერთან მოულოდნელი შეჩუების განმუხტული იარაღის ხიმტის გამოყენება შესაძლებელია დაეყენებოდეს, მაშინ როდესაც დანის ამოღებას და მომარჯვებას დრო სჭირდება, ისევე როგორც ავტომატის გეგად გამოყენების მანძილზე ხელში გადაწვებისას;

* ხიმტთან იარაღით ახლო მანძილიდან საბრძოლო შესახილოთ შეტევაზე გადასული მეთმარი ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს მოწინააღმდეგეზე და არ აძლევს მას დამხმნების საშუალებას, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტორია ახლო ბრძოლაში;

* მტრულად განწყობილი ადამიანებით დასახლებულ ტერიტორიაზე პატრულირებისას, ტყვეების კოორდინებისას, ხელნართულ შეტაკებაში — ხიმტი იცავს იარაღს მოწინააღმდეგის ხელის მოულოდნელად ჩაღებისას.

* მებრძოლებმა უნდა ათივისონ, რომ მოულოდნელობა, ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ხელნართული ბრძოლისთვის მორალური მზაობა არის ხიმტით ბრძოლაში გამარჯვების სამი რითაღი შემადგენელი.

„ლიგა“

სამკურნალო ბაერთიანება

სემსოკათოლოგია

- ერეკციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის განახარგმობება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე

მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39

www.league.ge



თვის ქვედანაყოფთან ერთად საეჭვო ნაკვობებს ათავაღიერებდა, პირის-პირ გაბაჟვარა 2 ადამიანს მოჯაკედეს, რომელიაგანაც ერთი შაშხანის ავტომატური ჯვრით გაანადგურა, ხოლო გახანების გარეშე დარჩენილმა მქორე ხიშტით განგმარა.

ხიშტით ბრძოლის შესწავლა უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი ალგორითმით: ტექნიკის დამუშავება ფიტულის გარეშე. ფიტულზე იერიში ადგილიდან, ფიტულზე იერიში ნაბიჯის გადადგობა, ხიშტის გამოყენება ნაბიჯით სვლასა და სირბილში, ხიშტის გამოყენება ფიტულების ჯგუფში მძარბულელების ცვლილებით, ხიშტის გამოყენება სხვადასხვა პირობებში (სანგარი, ტყე, შენობა, ტრენშეა და ა.შ.). ყურადღება უნდა დაეთოს მებრძოლში აგრესიულობის გამოშუქავებას, სისუსტესა და ძალას. ყურადღებას აქცევს ცნობილი რუსი გენერლის, დრაგომოროვის გამოჩენილი: „ცოცხალი იარაღის ხმარებისას თვალშოში გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე სროლისას: იქ მანიძის განსაზღვრის შეცდომა ნიშნავს დაკარგულ ტყვიას, ხელნართულ ბრძოლაში – დაკარგულ ცხოვრებას“.

უნდა აღინიშნოს, რომ ხიშტი ახლო ბრძოლის მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია.

ამ სტატიაში არ შეეხებით ხელნართული ბრძოლის მეთოდებს, რისთვისაც უპირავე ლიტერატურა და სახელმძღვანელო არსებობს. მხოლოდ ერთს გავუსვამთ ხაზს – იღუბები უნდა იყოს მარტო, ინდივიდუალურ მებრძოლზე მორეგული და ეფექტური, სამხედროს უნდა შეეძლოს მათი შესრულება მთელი აღჭურვილობითა და მძიმე სამხედრო აღაზრდობით (კუნ-ფუს ან კარატეს დიოსტატებში ვერ „აფრენენ“ პაერში). ამ დროს უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცეცხლსასროლი იარაღის ხმარების ტექნიკას და ტაქტიკასაც, რაც რამდენადმე განსხვავებულია შორ დისტანციებზე მისი გამოყენებისგან. მაგალითად, ნიუ-იორკის პოლიციის ჩატარებული კვლევების შედეგად, რომელიც ხშირად უწევთ იარაღის ახლო მანძილზე გამოყენება, 6000 შემთხვევისგან მონიშნულდევს მიაზანში ამოღებით ესროლეს მხოლოდ 20% შემთხვევაში. დანარჩენი მძლიოდა ინსტინქტურ სროლაზე, როდესაც მონიშნულდევს უშიშნებდნენ ლუღას, რაც გამოწვეული იყო მისი საიზოლო, ინციდენტის სწრაფი ესკალაციით, ცუდი განაოებით

ხიშტით ბრძოლის ელემენტის დამუშავება გასულ საუკუნეში



და ა.შ. კვლევის თანახმად, პოლიციელთა 93% ფოკუსირებული იყო მიზანზე და არა იარაღზე, ხოლო შემთხვევათა 88%-ში ისროლეს ბინიკულარული მხედველობის (ორივე გაღებული თვალი) გამოყენებით.

ეჭვი არ შეპარება, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები სათანადო

მოშადაებას გადიან ამერიკელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით და სასწავლო ცენტრებში, ალბათ ახლო ბრძოლის უნარ-ჩვევების გამოშუშევააც ხდება, ამდენად ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე რჩევა, დაფუძნებული საბრძოლო გამოცდილებაზე, საინტერესო იქნება ქართველი რეზერვისტებისთვის. აი, ისინიც:

მოკლე დისტანციებზე ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებისას, თუკი მას არა აქვს სპეციალური ოპტიკური ხელსაწყო, ძირითადად, გამოიყენება სროლის შემდეგი მეთოდები:

მიზანში ფუსტად ამოღება. ეს საბაზო სროლის ტექნიკაა და ყველაზე უხუცეს სროლის საშუალებას იძლევა. ამ დროს მებრძოლი ასწორებს წინა და უკანა სამიხნეს (ძირითადი ნიშნის და უკანა თამასა), შეუიჯავრებს მიზნის ხილველს და მსუბუქად აწევა სახსლველს. ეს 2-3 წმ-ს მოითხოვს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც სისუსტე უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე სისწრაფე. ჩვეულებრივ, გამოიყენება 25 მ-ზე მეტ დისტანციასზე;

„მონადირეული“ სროლა. ეს მეთოდი ცნობილია მათთვის, ვისაც ერთხელ მაინც გამოიყენებია სახადრო გლეველთაბი თოფი. ამ დროს მსროლელი უშიშნებს მხოლოდ თოფის ნიშნის (წინა სამიხნის) გამოყენებით ეფექტურა 10-15 მ მანიძობამდე, როდესაც დიდი მნიშვნელობა არა აქვს სამიხნის ვერტიკალურ ცდომილებას;

ინსტინქტური სროლა. ამ მეთოდს საფუძვლად უდევს ადამიანის რეფლექსური ქმედებების მექანიკა (მაგ. ჭამის დროს არ გვეკრძაება ჩანჯლის პირისთვის დამიხნება, ისევე როგორც ჩოგბურთული ბურთის არ უშიშნებს ჩოგანს და ა.შ.). ამ შემთხვევაში მსროლელი ფოკუსირებულია მიზანზე და არა იარაღზე. იარაღს მიმართავს ინსტინქტურად, დაუშიშნებლად, რეფლექსურა და უკნობის მქსიხნის გამოყენებით. ამ მეთოდის გამოყენებას დიდი პრაქტიკული გამოცდილება სჭარდება და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ.

შახტანშ პაპანანაძე, ბრიადაის გენერალი, გენერალური შტაბის ვოფილი უფროსი

ლიბიის ემბროლოთა ისლამური ჯაშაათი კადაფის ყველაზე საშიში მოწინააღმდეგეანი



„ისლამური ჯაშაათის“ აქტივისტებს ხელისუფლებაში მოსვლის იმედი აქვთ

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ №8, 2011)

„ლიბიის ემბროლოთა ისლამური ჯაშაათის“ სტრატეგია, ტაქტიკა და იდეოლოგია

„ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათი“ შარიათის სამართლის დოკუმენტების მიხედვით შექმნილი ტიპური ორგანიზაციაა, რომელსაც ისლამური საბჭო („აშ-შურა ალ-ისლამია“) მართავს. საბჭოს წევრები, როგორც წესი, იბრწევენ ამირას, რომელიც თავის მხრივ, პასუხისმგებელია „ალ-ქაიდას“ უმაღლესი მესჯეულების წინაშე. მას ჰყავს რამდენიმე მოადგილე, რომლებიც ვიკაიდის, ისლამის შესწავლის, აღჭურვის, საინფორმაციო, საგარეო ურთიერთობების და ფინანსების კომიტეტებს ხელმძღვანელობენ. სხვათა შორის, ახლო აღმოსავლეთში მოქმედ ბევრ ტერორისტულ ორგანიზაციასაც სწორედ ამგვარი სტრუქტურა აქვს.

„ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათის“ უმცირეს სტრუქტურულ ერთეულს „საწერბოლი ბანაი“ („ალ-მასკარ ათ-თადრიბ“) ეწოდება; ბანაკის ხელმძღვანელს კი, როგორც წესი, უბრალოდ „მეთაურს“ („არ-რას“) უწოდებენ. რამდენიმე ბანაკი ქმნის

„ფორნტს“ („აჯ-ჯაბაჰ“); ბოლოდროინდელი დაუზუსტებელი მონაცემებით „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათი“ ორ ათეულამდე ბანაკსა და ოთხი ფორნტისაგან უნდა შედგებოდეს. ცნობილია, რომ ორგანიზაციის უმაღლესი მეთაურია აბუ იაჰია ალ-ლიბი, ფორნტებს კი ხელმძღვანელობენ ჰასან ალ-კაიდი, თუნუს ას-საჰრაუი და ჰასან იბნ კაიდ ალ-ფარი. პაკისტანური და ამერიკული სპეცსამსახურების ხელი არსებული მონაცემებით, აბუ იაჰია ალ-ლიბი იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია — იგი მშობლიური არაბულის გარდა, თანაბრად კარგად ფლობს ურდულს, ჰინდის, პუმპუს, სპარსულს, ინგლისურს, ფრანგულს, იტალიურსა და კიდევ ორივე სხვა ენას, წერს ლექსებს და დაუზუსტებელი ინფორმაციით, არაბული ხელოვნების ისტორიის დოქტორის ხარისხიც აქვს. ცნობილი ამერიკელი ექსპერტი ტერორიზმის საერთაშორისო ცენტრალური სადაზვერუო ბიუროს (CIA) ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ვარუთ ბრეჟმანი „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათის“ ლიდერს ასე ახასიათებს: „იგი მუმიანიკო არის, პოეტურ, სწავლულიც, ბრძენიც, ბრწყინვალე პოლიტიკოსიც, საკუთარ მეთაურად და ახალგაზრდა, ქარიზმატული ლიდერაც, რომელსაც თავისუფლად შეუძლია, ზედა ბინ ლიდენს

შეწინააღმდეგოს“. აბუ იაჰია ალ-ლიბი „ალ-ქაიდას“ შარიათის კომიტეტის ხელმძღვანელიცაა, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ოსამა ბინ ლადენის შემდეგ მეთორ კაცია. აბუ იაჰია ალ-ლიბი და აწ უკვე ლიკვიდირებული აბუ ლათი ალ-ლიბი ერთმანეთს არათუ ნათესაობდნენ, მოგვარებადაც არ ერგებოდნენ — „ალ-ლიბი“ („ლიბიელი“) წარმოშობის აღმნიშვნელი მეტსახელი, ე.წ. „ნისბა“ გახლავთ, რომელიც არაბულ სამყაროში ხშირად სახელთან ერთად იხმარება ხოლმე.

„ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათის“ წევრთა რაოდენობა, როგორც წესი, დაუდგენელია. ლიბიაში მუამარ კადაფის საწინააღმდეგო გამოსვლების დაწყებამდე, დასავლელი ექსპერტები გარკვეულდნენ, რომ რამდენადაც ხსენებული ორგანიზაცია მთლიანად ლიბიელებიდან შედგებოდა, ბაზები კი ამ ქვეყნიდან შორს — ალანჯიში მქონდა, მისი პირადი უნდა შედგენილია მცირერიცხოვანი შუა ყოფილიყო. ამუდროულად, აბუ იაჰია ალ-ლიბი დროდღორე მებრძოლთა როტაციასაც ახდენდა, რაც „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათის“ საკმაოდ მაღალ ბრძოლუნარიანობას უზრუნველყოფდა. ცხადია, დღეს სიტუაცია სულ სხვაგვარია — ორგანიზაციამ მოქმედება უშუალოდ ლიბიის ტერიტორიაზეც დაიწყო. ეს კი, რა თქმა უნდა, ბევრ რამეს შეცვლიდა.

გამორჩეული არაა, „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათი“ ერთი ან რამდენიმე ფსევდონიმით მოქმედებდეს — ორგანიზაციის ყოფილმა მესჯეულმა ნუჰან ბინ-უთმანმა დასავლურ მასმედიაში ინტერვიუებში პირადად აღნიშნა, რომ ტერორისტული დაჯგუფებისათვის და განსაკუთრებით „ალ-ქაიდას“ წევრთათვის ამგვარი რამ მეტად დამახასიათებელია. ცნობისათვის: უნდა „ისლამური ჯაშაათი“ ცნობილი იყოს როგორც „ლიბიის ისლამური ფორნტს“, „ლიბიის მამულიშვილთა ფორნტს“ და ა.შ. რაღა თქმა უნდა, ოსტატურად მოყოლებული ფსევდონიმის მიღმა, დასავლურ სპეცსამსახურებს „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათის“ ამოცნობა ძალიან გაუჭირდებათ ტერორიზმის კვლევის ამერიკულ ცენტრმა „ნეფამ“ (Nine Eleven Fin-

ding Answers Foundation) ლიბიაში არეულობის დაწყებისთანავე, „ისლამური ჯამაათის“ შესახებ ამ რამდენიმე კვირის წინ სპეციალური დიხე გამოაქვეყნა, რომელშიც სხვათა შორის, საილუსტრაციო მასალად „საწერითელი ბანაკის“ წვერობის კანდიდატის შესახებ სპეციალური კითხვარცაა მოყვანილი, სათანადო ინგლისური თარგმანით კითხვარის მოცულობა არც ისე დიდია, მაგრამ კითხვები იმგვარადაა შედგენილი, რომ უმაღლესმა შესვეურებმა წვერობის კანდიდატის თაობაზე ვეღვაფერი შეიტყონ — სახელი, გვარი, ოჯახური მდგომარეობა, განათლება, სამხედრო საქმისა და ენების ცოდნა-არცოდნა, აგრეთვე ის, თუ საიდან და რომელი ქვეყნების გავლით მოხვდა ავღანეთში, რამდენად კარგად ასსოვს კანდიდატს ციტატები ყურანიდან, რომელ მიწითში დადის სალოცავად, იმუნდა თუ არა რელიგიურ კურსებს (თუ პასუხი დადებითი იქნება, იქვე უნდა მიუთითოს სად, როდის და რომელი ალიმისგან) და ა.შ. კითხვარის ბოლოს მოცემულია ფიცის ტექსტი — ციტატა ყურანიდან. თავისთავად, კითხვარის შევსების წესი მიუთითებს, რომ „ლიბიის მებრძოლი ისლამური ჯამაათი“ საკმარის კარგადაა ორგანიზებული.

„ისლამური ჯამაათის“ ტაქტიკას რაც შეეხება — ლიბიელები ცნობილი

არაან როგორც პარტიზანულ-დევრისული ომის დიდოსტატები. გარდა ამისა, დასავლელი ექსპერტების ინფორმაციით, ავღანეთში „ალ-ქაიდას“ სამაღვთა სისტემა მათი მოწყობილია, რაც იმას ნიშნავს, რომ დენტური ინფრასტრუქტურა შესაძლებელია აბუ ააბა ალი-ლიბის მებრძოლებმა შობილურ ლიბიაშიც გამართონ და დასავლეთის „ჯავროსებს“ (ასე უწოდებენ ანტიტერორისტული კოალიციის ჯარებს არაბები) კარგა ხანს ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიონ. ექსპერტებს ეჭვიც აღარ ეპარებათ იმაში, რომ თუ დასავლეთის ქვეყნებმა ლიბიის კრიზისი თავადვე უახლოეს მომავალში არ მოაკვარეს, „ლიბიის მებრძოლი ისლამური ჯამაათი“ კადაფის რეჟიმს ადვილად ჩაენაცვლებს, მით უმეტეს, კადაფისეული ისლამური რადიკალიზმი მათთვისაც ისევე ტრადიციულია, როგორც საუდის არაბეთის მკვიდრთათვის — ძველია-განვე მიუღ ჩრდილო აფრიკაში ლიბია სწორედ ამით იყო გამოჩრეული.

„ისლამური ჯამაათის“ იდეოლოგია, რასაკვირვლია, ვაჰაბიტურ მოძღვრებაზე დამყარებულია, რომლის თანახმადაც ვეღვა მუსლიმანი, გუნურჩველად ეროვნებისა, სოციალური

სტატუსისა თუ სქესისა, გლობალური ისლამური თემის, ანუ ე-წ. „უმამას“ თანასწორუფლებიან წევრად ითვლება. ამასთან, ვაჰაბიტებს „თანასწორუფლებიანობა“ სულ სხვანაირად ემთოთ აზრით, საზოგადოება, რომლის ყველა წევრს კარგად აქვს შეგნებული საკუთარი მოვალეობა, თანასწორუფლებიანია. ეს გულისხმობს იმას, რომ აბსოლუტურად ვეღვა უნდა დაკმაყოფილდეს თავისი ბედით და „ზედმეტი“ არ მოინდომოს: „აიყუ ეკამოფილი იმით, რაც გაქვს და თვს უეღვრად ნუ ჩათვლი იმის გამო, რაც არა გაქვს“, — დაახლოებით ასე ითარგმნება არაბულიდან ვაჰაბიტების დეფინი. ისინი მიიჩნევენ, რომ რიგითი ადამიანების (მათ შორის — ქალების) ყველებებს არაფერ დაარღვევს, თუკი ვეღვაფერებ მაღლა შარიათის კანონები დადგება.

ჯიჰადს, ანუ „წმინდა ომს“ რაც შეეხება, როგორც წესი, ვაჰაბიტი ალიმები განმარტავენ, რომ თუკი მუსლიმანთა მიწაზე „უღმერთო“ ხელისუფლებაა და მორწმუნეებს ალაპის განდიდების შესაძლებლობა არა აქვთ, ვეღვა ვალდებულია, რომ მოეგვიდოს, ანუ რწმენისთვის მებრძოლი გახდეს და სრულ გამარჯვებამდე იომოს. ჩვენს დროში „ალაპის განდიდების შესაძლებლობის არქონად“ ვაჰაბიტები მიიჩნევენ უპირატესად ისეთ სიტუაციას, როდესაც შარიათის საპარ-

„ისლამური ჯამაათი“ ავღანეთში მიღებული გამოცდილებას ლიბიაშიც წარმატებით იყენებს





კადფოს წინააღმდეგ მებრძოლი ისლამისტები „შაბადიბი“ ხდებიან

თლის ნორმები შეზღუდვით ან საერთოდ არ მოქმედებს; ანუ, მათი აზრით ფაქტობრივად, მიუღი ისლამურ სამკაროში ამჟამად ხელისუფლება „უღმერთოთა“ ხელშია. სხვათა შორის, ამ უკანასკნელ ტერმინით ვაპატივები არა მარტო არამუსლიმანებს, არამედ თვით მცირედ მორწმუნე ან არასწორ მუსლიმანებსაც იხსენიებენ. ასე რომ, მათი დღევანდელი თუ ემსჯელებენ, მუშაობ კადფო სწორედ „უღმერთო“ გამოდის.

„ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათის“ მხარდამჭერები, დაფინანსების წყაროები და პროპაგანდის საშუალებანი

„ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათი“, როგორც უკვე ითქვა, „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, ვვლია ის ორგანიზაცია თუ ფონდი, რომლებსაც „ალ-ქაიდასთან“ კავშირი აქვთ ბუნებრივია, „ისლამური ჯაშაათის“ მხარდამჭერებადაც მოიაზრებიან; თუმცა, „ლიბიის მებრძოლთა ისლამურ ჯაშაათს“ ექსკლუზიური მხარდამჭერებიც (უპირველეს ყოვლისა — ფინანსურ საკითხებში) საქმიად ჰყავს. მათი უმეტესობა დიდ ბრიტანეთშია რეგისტრირებული — „Sara Properties Limited“, „Meadowbrook Investments Limited“, „Ozlam Properties Limited“, „Sanabel Relief Agency Limited“ და სხვ. რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებული აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური

შის თანახმად, ჩამოთვლილი ფირმები (უფრო ზუსტად — შპს-ები) შექმნილია „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათის“ ფინანსთა კომიტეტის ხელმძღვანელის, ლიბიელი მდიონერისა და ინტერპოლის მიერ შექმნილი მოპაქედ ბენჰამედის კაპიტალით შესაძლებელია, მათი მეშვეობით „ისლამური ჯაშაათი“ ევროპაში ფულს „აიფურებს“.

მოპაქედ ბენჰამედი (რომელიც ცნობილია სხვა სახელწოდებით — აბუ პაჯირ ალ-ლიბი, აბუ ალ-კასამი, მუჰამად იბნ მუჰამადი, მუჰამად ბანუ-ჰამიდი...) თეფილაურად დიდი ბრიტანეთის მოქალაქეა და ლიფერულში ცხოვრობდა. 2005 წელს ბენჰამედი ბრიტანელმა სამართალდამცველებმა დააპატიმრეს კიდევ, მაგრამ მან მართლმსაჯულებას თავი როგორღაც აარიდა და ყალიბი პასპორტით ბალტიისპირეთში გაიქცა. მალე მოპაქედ ბენჰამედი ლტკანში არასრულწლოვან ვიქტორია ზაკურკოზე დაქორწინდა. ვიქტორიას მამა სერგეი ზაკურკო ივნადინას ატომური სადგურის ინსპექციის ხელმძღვანელი იყო და სიმეც თავისთან მოაქცა. ატომური სადგურში მოპაქედ ბენჰამედი სიმაპირსა და ახალი ნაცონობის მეშვეობით „ბნელი საქმეების“ გაჩაზებას აპირებდა, მაგრამ ლიტველმა სამართალდამცვეებმა ვვლაფერ დროზე შეიტყვეს და სიმე-სიმაპირი ერთად დააპატიმრეს. ბენჰამედა მათ მალე დააღწია თავი, სერგეი ზაკურკო კი გისოსების მიღმა დარჩა. დღეს ბენჰამედს ინტერპოლი „წითელი ციკუღარი“ ეჭებს. გარდა ამისა, „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათი“ ყოველწლიურად

ბინ დაღწევისგანაც სოლიდურ თანხას იღებს. საფიქრებელია, რომ ბოლოდროს ლიბიაში დაწყებული არეულობის გამო „ალ-ქაიდას“ შესვეურებისაგან გამოყოფილი თანხის რაოდენობა გაიზარდებოდა, რამდენადაც „ისლამური ჯაშაათის“ უმთავრესი ამოცანა ლიბიაში ხელისუფლების ხელში ჩაგდებაა. ამას კი, როგორც წესი, უამრავი გაუთვალისწინებელი ხარჯი ახლავს თან. სხვათა შორის, ოსამა ბინ ლადენმა თავის ბოლო ვიდეომიმართვაში, რომელიც ამ წლის მარტის დასაწყისში გავრცელდა, აღნიშნა, რომ „ჯაროსნებთან“ ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი ახლოდება და იმისთვის, რომ იმა მართლმორწმუნეთა გამარჯვებით დასრულდეს, „ალ-ქაიდა“ ფულს არ დაიმურებს.

„ისლამური ჯაშაათი“ პროპაგანდისტულ საშუალებად აქტიურად იყენებს ინტერნეტს. მას ბოლო დროინდელი სატელევიზიო ვებგვერდიც კი ჰქონდა (www.almuqatila.com), რომელიც ამერიკელი და კადფოს მომხრე ლიბიელი ჰაკერების შეტევის პერმანენტულ ობიექტს წარმოადგენდა. როგორც წესი, „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათის“ აქტივისტები პროპაგანდისტულ ვიდეომასალებს დღეს „თუთუბიზე“ საკმაოდ ხშირად დებენ. ხსენებული ორგანიზაცია პროპაგანდას „ალ-ქაიდაში“ შემაჯავრო სხვა დაჯგუფებების რეჟურსთა გამოყენებითაც საქმიად აქტიურად ქმნის. ტერიორიების კვლევის ამერიკულ „ინფოს“ ცენტრში შედგენილი „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათის“ დისიქში საგანგებოდ არის აღნიშნული ისიც, რომ ორგანიზაციას თანამედროვე არაბულ მასმედიაში ძალზე ბევრი მხარდამჭერი ჰყავს — ისეთი ცნობილი ვახუშები, როგორც მისთა გევიპტური „ალ-ფაჯირი“, „ალ-არაბი“, ალიგურული „ალ-მუჯაჰიდი“, ასევე ტელეარხები: „ალ-ჯაზირა“, „ალ-არაბია“, პანარაბული რადიოსადგურები „ავაიან“ და სხვები საკმაოდ ხშირად ვრცელებენ ინფორმაციას „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათის“ აქტივისტებზე დაკრძალვით რაც ცხადია, ირბიბი პროპაგანდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობაა.

„ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯაშაათის“ მიერ ლიბიაში ორგანიზებული სხაურიანი აქციები

1995 წლის გაზაფხული — ტერაქტების სერია ლიბიის ქალაქებში, რომელიც „ისლამური ჯაშაათის“ ერთ-ერთ-

თი მესვეურის, მუსლიმან ღვთისმეტყველ სალაპ აღ-ფათი ბინ სულეიმანის ანტიკადაფისტურ ქადაგებას მოჰყვა. ლიბიის დედაქალაქსა და რამდენიმე სხვა დასახლებულ პუნქტშიც, თითქმის ერთდროულ ტერაქტებს 20-ზე მეტი კაცი ემსხვერპლა. ისინი ძირითადად კადაფის პოლიციისა და არმიის წევრები იყვნენ. საპასუხოდ, ლიბიის ჯა-მაპირიის არმიამ სალაპ აღ-ფათი ბინ სულეიმანი დარნას ოაზისში (ქ. ბენღა-ზის ახლოს), წერტილოვანი დარტყმით მოკლა და მისი მამულიც პირწინადად გაანადგურა.

1996 წლის 23 ნოემბერი — „ისლამური ჯამაათის“ წევრები ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში თავს დაესხნენ მუჰარ კადაფის. მათ დიქტატორს გუმბარსატყორცით გაუსხნეს ცეცხლი, თუმცა უშედეგოდ — კადაფი ჯავშნიანმა „მერსედესმა“ გადაარჩინა. ამ ტერაქტის პასუხად ლიბიის არმიამ ქვეყნის აღმოსავლეთში „ისლამური ჯამაათის“ ბაზებს მასშტაბურად შეუტია. ისლამისტები იძულებულნი გახდნენ, ევაკტეში გადასულიყვნენ, თუმცა ლიბიურმა ავიაციამ მათი პოზიციები იქაც დაბომბა.

1998 წლის ზაფხული — სუდანდან გადმოსულმა „ისლამური ჯამაათის“ 25-კაციანმა ქვედანაყოფმა იერიში მიიტანა სამხრეთ-აღმოსავლელი ლიბიაში, მით-ლუნის ოაზისში სახელდახლო სამხედრო ბაზაზე. ისლამისტებმა პირწინადად გაანადგურეს ბაზის პერსონალი — 30 კაცი, დიდი ზარალი მიაყენეს გარნიზონსაც და ხელთ იგდეს მძიმე



კადაფის წინააღმდეგ ბრილიაში დაღუპული ისლამისტ შაჰიდთა სურათები ტრიპოლის ქუჩებში

ტექნიკა. არადა, კადაფი სწორედ ამ ბაზის გამოყენებით გვემგადა სუდანში შეჭრას და „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯამაათის“ ყველა ბანაკის განადგურებას. ისლამისტებმა მას დაასრურეს, რის შედეგადაც დიქტატორმა ჩანაფიქრის აღსრულება გეგარ გატედა.

2009 წლის სექტემბერი — „ისლამური ჯამაათისა“ და კადაფის ხელი-სუფლების მესვეურთა შორის მიმდინარე საიდუმლო მოლაპარაკებები, რომლებზეც ისლამისტები მუჰარ კადაფის მიერ დაპატიმრებულ თანამებრძოლთა უპირობო გათავისუფლებას ითხოვდნენ,

ჩაიშალა — კადაფის ბრძანებით დააპატიმრეს „ისლამური ჯამაათის“ ყველა წევრიც, ვინც მოლაპარაკებებზე იმყოფებოდა. საპასუხოდ, ორგანიზაციამ ლიბიის მოსახლეობაში 417-გვერდიანი „ფეთვა“ (მუსლიმან ღვთისმეტყველთა დასაბუთებული გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხის მოვარებას თაობაზე) გაავრცელა, რომელშიც კადაფის ჩამოსაგდებად მართლმორწმუნე მუსლიმანებს ვიჰადისკენ მოუწოდებდა. ამ „ფეთვამ“, სხვათა შორის, დღევანდელი არეულობის დაწყებამ და დიდი როლი ითამაშა.

მისილ ლაბაძე

განახლებული რიებრიქა

სიცივა და საქმი
ავტოგანცხადებები
„სიცივა და საქმის“
ხუთშაბათის
ნომერში

ავტო



SVENSKA
LUFTVÄSEN

JAS 39 Gripen



გერმანული ჯავშანბინიკა

პირველი თვითმავალი არტილერია



მეორე მსოფლიო ომში გერმანიის არმია თვითმავალი საარტილერიო სისტემების დიდი და მრავალფეროვანი არსენალით იბრძოდა და მათ შორის იყო მოიერიშე ქვემეხები, მოიერიშე პაუბიცები, თვითმავალი ლაფეტები, მოიერიშე ტანკები, ტანკების გამანადგურებლები, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები, თვითმავალი პაუბიცები, თვითმავალი სახენიტო ქვემეხები და სხვ.

გერმანული სამხედროები მომავალი ომის სცენარს დიდი ხნით ადრე გვგამოვლინეს და იცოდნენ, რომ ძლიერად დაცულ-გამაგრებულ პოზიციათა გარეგნული დიდი სიზუსტისა და საცეცხლე ძალის არტილერიის გარეშე ვერ შექვებდნენ. პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებიდან კი ჩანდა, რომ საველე არტილერიის შესადლებლობები ამ მხრე შეზღუდული იყო.

1935 წელს გენშტაბის ოპერატიული

სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა ერის ფონ მანშტაინმა წერილით მამართა გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ლუგვიგ ფონ ბეკს, სადაც „მოიერიშე ქვემეხის“ საჭიროებაზე თავისი შეხედულებები ჰქონდა ჩამოვლილი.

მანშტაინის აზრით, შეტევებში ხვეული თუ ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტილების დაძლევაში ქვეითთა რიგებში მყოფი არტილერიის უშუალო მხარდაჭერა დიდ დახმარებას გაუწევდა, ხოლო თავდაცვაში კი პირიქით — კონტრშეტევათა მოგერიებაში დაქმნადა.

უშუალო საცეცხლე მხარდაჭერა პირდაპირი დამხმარების სროლას რამდენიმე ასეული მეტრიდან ნიშნავდა და მომავალი საარტილერიო სისტემებს რამდენიმე მითხოვნა წაუყენეს: ძლიერი საცეცხლე ძალა, პატარა ზომები, შუბლის კარგი დაჯავშნა და წარმოების დაბალი ღირებულება.

ძლიერი საცეცხლე ძალა ტანკზე უფრო დიდი კალიბრის ქვემეხს მოითხოვდა, მაგრამ ტანკის მსგავსი წრიულად მბრუნავი კომპლექსის აუცილებლობა არ იყო.

იდეამ მხარდაჭერა პოვა და 1936 წლიდან დანადგარის პროექტზე მუშაობას „დაიმლერ-ბენცი“ შეუდგა.

„დაიმლერის“ სპეციალისტებმა კომპლექსი „კრუპის“ 75 მმ-იანი მოკლელულიანი ქვემეხი დაუყენეს და შუბლის მხარეს ჯავშნის სისქე 50 მმ-მდე გაზარდეს, ხოლო საფლ ნაწილად სერიული Pz Kpfw IIIB ტიპის ტანკის შასი გამოიყენეს.

ხუთმა საცდელმა დანადგარმა (StuG III) სრული საგამოცდო ციკლი გაიარა და შენიშვნების გათვალისწინებით 1940 წელს „დაიმლერმა“ კერძო მატარებელი სერიის 30 მოიერიშე ქვემეხი (StuG III Ausf A) დაუმზადა.

საფრანგეთის 1940 წლის კამპანიაში დაბალი სიღრმისა და კარგად დაჯავ-

StuG III Ausf A: მასა — 21,6 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 11-50 მმ, კარბურატორიანი 600-ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 40 კმ/თ-ში, ხელის მარაგი — 140 კმ, შეიარაღება — 75 მმ-იანი ქვემეხი და 7,92 მმ-იანი ტყვიამფრეველი.



შულმა მოიერიშე ქვეშეშებმა საცეცხლე წერტილებს ჩახშობის ამოცანას თავი შესანიშნავად გაართვეს და სამხედროების მოწონებაც დაიმსახურეს.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ StuG III-ს საბჭოთა საშუალო და მძიმე ტანკებთან ბრძოლაში გაუჭირდათ — საყვის დაბალი სიჩქარის გამო ჭერუკი ჯავშნის გარღვევას ყოველივის ვერ ახერხებდა.

საცეცხლე ძალის ასამაღლებლად 1943 წლის დასაწყისიდან ქარხნები გრძელდებოდათ 75 მმ-იანი ქვეშეშით აღჭურვილი მოდიფიკაციების (F, F/8, 40G) გამოშვებაზე გადავიდნენ და StuG III-ებმა გერმანიის არმიამში მთავარი ტანკსაწინააღმდეგო საშუალების ადგილი დაიკავეს.

თუმცა მობილური ტანკსაწინააღმდეგო საშუალების საჭიროება ჯერ კიდევ 1940 წელს საფრანგეთის კამპანიის დროს გამოჩნდა.

მამის სახმელეთო სამხრეშეთან საბრძოლველად რამდენიმე 88 მმ-იანი საზენიტო ქვეშეშით (Flak 36) გადაკეთდა დაიგა ორდღმა შასსზე, წინა მხარე და გვერდები ჯავშნფურცლებით დაიფარა და არტილერიასტა ვანკარულემაში ბუქსირებაზე ტანკსაწინააღმდეგო დანადგარი აღმოჩნდა.

ტანკსაწინააღმდეგო თვითმავალი დანადგარების საჭიროება კიდევ მეტად საბჭოთა კავშირთან ომის დროს გაჩნდა.

ამ სახის სხვადასხვა ტიპის სისტემებს შორის გამოირჩეოდა ადგილი Ferdinand-მა (Sd Kfz 184) დაიკავა. მცირე რიცხოვნობის მიუხედავად (სულ გამოშვებულია 85 საბრძოლო და 5 საჩუქრით-საეკავაციო „ფერდინანდი“), ის მთლიან მსოფლიო ომის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და კარგად დაცულ ტანკსაწინააღმდეგო თვითმავალ დანადგარად დარჩა.

ფერმა Alkett-ის ინჟინრებმა ფერდინანდ პორშეს დაწუნებული ტანკი VK 4501 (P)-ის შასის დაუყენეს 88 მმ-იანი გრძელდებოდათ საზენიტო ქვეშეშით (Pak43/1) აღჭურვილი საბრძოლო კოშკურა, რომლის შუბლის მხარე 200 მმ-იანი და ბორტები 80 მმ-იანი ჯავშნით იყო დაცული.

„ფერდინანდებს“ საბრძოლო ნათლობა ოპერაცია „ციტიდელში“ შედგა, სადაც 1943 წლის ზაფხულში გერმანიის არმია ქალაქ კურსკთან დიდი შეტევებით ფრინტზე მდგომარეობის გამოსწორებას შეცადა.

„ფერდინანდებით“ 653-ე და 654-ე მძიმე ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურ



Ferdinand (Sd Kfz 184): მასა — 68 ტ, ეკიპაჟი — 6 კაცი, ჯავშანი — 45-200 მმ, კარბურატორიანი 2X600-ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 20 კმ/თ-ში, სულის მარაგი — 150 კმ, შეიარაღება — 88 მმ-იანი ქვეშეშით და 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი.

რბელი ბატალიონები (თითოეული 45 „ფერდინანდს“ ითვლიდა) დაკომპლექტდა.

ბრძოლებში გერმანული ტანკსაწინააღმდეგო დანადგარები საბჭოთა ჯარების პოზიციათა გარღვევას იოლად ახერხებდნენ და თან დიდი რაოდენობით ტანკებსა თუ არტილერიას ისე ანადგურებდნენ, რომ ტანკსაწინააღმდეგო არტილერია ვერაფერს აკლებდა.

გამოჩნდა ერთი სერიოზული ნაკლიც — „ფერდინანდზე“ ტყვიამფრქვევი გათვალისწინებული არ იყო და

დანადგარიან მოახლოებულ საბჭოთა ქვეითებს ეკიპაჟები ქვეშეშით ლულიდან გახსნილი ტყვიამფრქვევის ცეცხლით იკრიბებდნენ.

არცთუ იშვიათი იყო შემთხვევა, როცა „ფერდინანდი“ ტანკებსა და ქვეითებს უსწრებდა და ტრანშემაში ჩამძალი ჯარისკაცის სამხრე ხდებოდა. მარჯვენა ნასროლ ხელეშობარას დანადგარის სავალი ნაწილის ან ბორტის დაზიანება შეეძლო.

პრობლემის გამოსწორებას კიონზე საკეცალური პლატფორმის მოწყობით

Jagdpanther (Sd Kfz 173): მასა — 45 ტ, ეკიპაჟი — 5 კაცი, ჯავშანი — 16-80 მმ, კარბურატორიანი 700-ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 46 კმ/თ-ში, სულის მარაგი — 150 კმ, შეიარაღება — 88 მმ-იანი ქვეშეშით და 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი.





Jagdtiger (Sd Kfz 186): მასა — 71,7 ტ, კეიპაიუ — 6 კაცი, ჯავშანი — 40-200 მმ, კარბურატორიანი 700-ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 34 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 80-120 კმ, შეიარაღება — 128 მმ-იანი ქვეშეში და 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი.

შეუცადნენ, სადაც ხუთი ქვეითი მოთავსდა, მაგრამ საბჭოთა არტილერიის ცეცხლი იმდენად დიდ დანაკარგს იწვევდა, რომ ამ იდგაზე უარი ითქვა. კურსკის ბრძოლებში ბატალიონებს 39 „ფერდინანდ“ გამოაკლდა და ერთი ნაწილის დაზიანება ტანკსაწინააღმდეგო ნაღებებსა და ფუგასებმა გამოიწვია.

გერმანული მონაცემებით, კურსკთან ბრძოლებში „ფერდინანდებს“ მსოფლირიდან საბჭოთა ჯავშანტექნიკის 502 ერთეული, 100-ზე მეტი ქვეშეში და სხვა ტექნიკა გამოიყენეს.

ტანკებთან ბრძოლის პრობლემა იმდენად მწკვედრ იდგა, რომ გერმანელებმა ტანკსაწინააღმდეგო თვითმკავალი დანადგარების შესაქმნელად სხვადასხვა კალიბრის არტილერია და სერიული წარმოების ყველა ტანკის შასი გამოიყენეს.

სახელგანთქმული „პანტერების“ საფუძველზე შექმნილ Jagdpanther-ს (Sd Kfz 173) დაბალი სილუეტი, კარგი გამძლეობა და სიჩქარე ჰქონდა, მაგრამ ტანკს სუსტი წერტილებიც ჰქონდა.

„იავდპანტერების“ (დამზადებულია 413 ცალი) დიდი ნაწილი აღმოსავლეთის ფრონტზე აღმოჩნდა, ზოლი დასაულებოში მოკავშირეებს ნორმანდიაში ერთი ბატალიონი ებრძოდა.


ერთ-ერთი ბრძოლის დროს ჩასაფრებრიდან სამმა „იავდპანტერმა“ ბრიტანელების Churchill-ს ტიპის 10 ტანკი განადგურა.

კიდევ მეტი საცეცხლე შესაძლებლობები ჰქონდა 1943 წელს Nibelungenwerke-ს შექმნილ Jagdtiger-ს (Sd Kfz 186) — მორე მსოფლიო იმის ყველაზე ძლიერ ტანკსაწინააღმდეგო საშუალებას.

„ნიბელუნგვერკემ“ მისივე ტანკის — Tiger II Ausf B შასითა და 128 მმ-იანი ქვეშეშით აავსო ტანკსაწინააღმდეგო დანადგარი, რომლის ჭურუსაც იმდროინდელი ვერც ერთი ტანკის ჯავშანი ვერ უძლებდა.

„იავდტიგრის“ სუსტ მახასიათებ-

Hetzer (Sd Kfz 138/2): მასა — 16 ტ, კეიპაიუ — 4 კაცი, ჯავშანი — 20-50 მმ, კარბურატორიანი 160-ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 42 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 260 კმ, შეიარაღება — 75 მმ-იანი ქვეშეში და 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი.



ლებს (ძრავას არასაკმარისი სიძლიერე, არასაიმედო სავალი ნაწილი, სროლის დაბალი ტემპი) ემატებოდა თხელი ბორტები და დიდი მასით გამოწვეული ცუდი გამძლეობა, რაც ახლო ბრძოლაში დაზიანების საფრთხეს ზრდიდა.

1944-45 წლებში სულ 80-მდე „იავდტიგრის“ გამოშვება მოასწრეს, რაც საჭირო მასალების დეფიციტითა და დანერგული ქარხნებით იყო გამოწვეული. ამიტომაც მას იშვიათად იყენებდნენ და საბრძოლო მოქმედებებზე გველენა ვერ მოახდინა.

ფრონტზე მობილურ ტანკსაწინააღმდეგო საშუალებათა დეფიციტის შევსებას გერმანელები მსუბუქი გამანადგურებელი Hetzer-ებით (Sd Kfz 138/2) შეცვადნენ.

ამის საჭიროება კიდევ უფრო მას შემდეგ გაიზარდა, რაც მოკავშირეთა ავიაციამ დაბომბვებით ქალაქ მარინენგელში ფირმა Alkett-ის ქარხანა ძლიერ დაზიანა და Stug III-ის წარმოებაში სირთულეები გაჩნდა.

„ჰეტცერი“ ჩხოვსლოვაკიური CKD-ს სექციალისტებმა მსუბუქი ტანკის — Pz Kpfw 38(t) მარზაზე დააპროექტეს და 1944 წლის მარტშიდან სერიული წარმოებაც გაიშალა.

სატანკო 37 მმ-იანი ქვეშეშის ადგილი 75 მმ-იანმა ქვეშეშმა დაიკავა. წონის მომატებამ გამძლეობის გაუარესება არ გამოიწვია, რადგან შასის დაკიდების სისტემაში გამოყენებული რესორები კომპენსირების საშუალებას იძლეოდა.

თავიდან „ჰეტცერი“ მთიერივე ქვეშეშად განიხილებოდა და არტლერიის დაქვემდებარებაში იყო, მაგრამ გენერალ გუდერიანის ჩარევის შემდეგ სატანკო ჯარებს გადაეცა.

დასაულოთა და აღმოსავლეთის ფრონტებზე ვერმახტი „პეტცერებს“ აქტიურად იყენებდა. ბუდაპეშტისთვის ბრძოლებში „პეტცერები“ მოულოდნელი კონტრშეტევებით წითელ არმიას სირთულეებს უქმნიდა, მაგრამ ომის მსვლელობაზე გავლენის მოხდენა არ შეეძლო.

გერმანული თვითმავალი საარტილერიო სისტემებიდან ყველაზე მძიმე 600 მმ-იანი მორტირა Karl-ი იყო, რომლის პროექტირებასაც 1937 წლიდან გენერალი კარლ ბეკერი კურირებდა.

126 ტონა მასის მქონე დანადგარისთვის საციალური შასი დააროექტდა, თუმცა „კარლს“ გზებზე გადაადგილება მანც არ შეეძლო და 4 ტრაილერს პოზიციებზე დაშლილი მიჰქონდა.

პოზიციები წინასწარ იყო მომზადებული და დაბეტონებულ ფუნდამენტს მოითხოვდა. სხვაანაირად საკალი ნაწილი 700 ტონა ძაღის უკუცემას ვერ უძლებდა.

საეციალურად მორტირასთვის შეიქმნა ბეტონბლოკები (წონა — 1,7ტ და 2,17 ტ) და ფუგასური (წონა 1,25 ტ) ჭურვები, რომლებიც ამწით აღჭურვილ მუხლუხა ტრანსპორტიორს გადაჰქონდა.


სულ 6 მორტირა აიგო (Adam-ი, Eva, Thar-ი, Odin-ი, loki და Ziu), რომელიც მზავიად იყენებდნენ. „აღამაში“ ბრესტის ციხესამაგრეზე — 16, „თორმა“ ქალაქ ლეოვზე შეტყვისას — 4, „თორმა“ და „ოდინმა“ სეგასტოპოლზე — 172 და ვარშავის აჯანყების ჩახშობაში „ციემ“ რამდენიმე გასროლა შესაწულა.

1943 წლის 5 აგვისტოს პიტლერის ბრძანებით კარგად გამაგრებული საცეცხლე წერტილების გაანადგურებისთვის მძიმე სათიერო ქვეშეშის შემუშავება ფრმა „ალკოს“ დაეკალა.

თვალპარკოდ, საცეცხლე საშუალებაში 210 მმ-იანი ჰაუბიცა განიხილებოდა, მაგრამ კონსტრუქტორებმა არჩვენი წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო 380 მმ-იანი ბომბსატორცნ Gerat 562 — Raketenerwerfer 61-ზე შეაჩერეს.

მოიერიშე დანადგარი Sturmiger-ი ტანკი Pz IVE Tiger-ის შასიზე ბომბსატორცნის დაყენებით შეიქმნა და ფუგასური (351 კგ) და კუმულატიური

Sturmiger: მზა — 65,5 ტ, ვეიამი — 5 კაცი, ჯგუშანი — 28-150 მმ, კარბურატორიანი 650-ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 16-38 კმ/სთ-ში, სელის მარაგი — 60-100 კმ, შეიარაღება — 380 მმ-იანი რეაქტიული ბომბტორცნი დანადგარი.



Karl: მზა — 126 ტ, მომსახურე პერსონალი — 21 კაცი, დიზელის ან კარბურატორიანი 580-ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 6-10 კმ/სთ-ში, ოპერატული დიაპაზონი — 42-60 კმ, შეიარაღება — 600 მმ-იანი მორტირა.

(345 კგ) ჭურვების გამოყენებაზე იყო გათვლილი.

1944 წლის აგვისტოდან 1945 წლის მარტისთვის სულ 18 „შტურმდივიერი“ აიგო. მისი შესადლებლობები 1944 წლის აგვისტოში ვარშავის აჯანყებას დღოს მოისინჯა და გამოყვების არეალად მხოლოდ დასაულოთის ფრონტი დანა.

ცნობილია ერთი შემთხვევა დასაულოთის ფრონტზე, სადაც ჭურვის აფეთქებით ერთდროულად სამი M4 Sherman-ი მწყობრიდან გამოვიდა.

შორე მსოფლიო ომის დასაწყისში გერმანული ავიაცია ჰაერში ბატონობდა და იმ პერიოდისთვის საეცტომობილო ძარებზე, ნახვრად მუხლუხა და მუხლუხა შასებზე დაყენებული 20 მმ-იანი, 37 მმ-იანი და 50 მმ-იანი საზენიტო სისტემები საკმარისი იყო.

ამ დანადგარებს კარგი გამვლობა და სიჩქარე ჰქონდა და რაც მთავარია — ცეცხლის გახსნა ადგილიდან საბჯენებისა და სახნისის გარეშე შეეძლო, თუმცა ეს სროლის სიზუსტეს აუარესებდა.


1943 წლიდან ლიუფტვაფემ ჰაერში უპირატესობა დაკარგა, ხოლო მას შემდეგ, რაც მოკავშირეთა ბომბდამშენები გერმანიის სამრწველო-სამხდრო ობიექტების დაბომბვაზე გადავიდნენ, საპაურო თვადაცვის გაძლიერებისათვის სასწრაფო ზომების მიღება გახდა საჭირო.

პირველი თვითმავალი საზენიტო დანადგარები (Sd Kfz 140) ჩეხოსლოვაკური მსუბუქი ტანკის Pz Kpfw 38(t) შასიზე შეიქმნა, რომლის პლანფორმაზეც 20 მმ-იანი საზენიტო ქვეშეშით აღჭურვილი და საბრძოლო ჯიხური იყო დაყენებული.

დანადგარები 1943 წელს აღმოსავლეთის ფრონტზე გაიგზავნა, სადაც ნათელი შეიქნა, რომ ერთი ქვეშეშით საკმარისი ძალია და ეფექტის ცეცხლს არ იძლეოდა.

1944 წელს სატანკო ნაწილების საზენიტო ოცეულების შეიარაღებაში Pz Kpfw IV ტანკის ტანკის ბაზაზე დამზადებული საზენიტო თვითმავალი დანადგარი Wirbelwind-ი გამოჩნდა.





Sturmpanzers II: მასა — 12 ტ, გეაბატი — 5 კაცი, ჯავშანი — 10-20 მმ, კარბურატორიანი 155-ცხ.მალიანი ძრავა, სიჩქარე — 40 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 140 კმ, შეიარაღება — 150 მმ-იანი ქვეითა მძიმე პაუბიცა.

ოთხი 20 მმ-იანი საზენიტო ქვეითი (Flak 38) 4-10 მმ სისქის გადასაწყვეი ფარებით შეკრულ კომპურაში იყო მოთავსებული და ეფექტურ ცეცხლსაც იძლეოდა.

საზენიტო თვითმავალი დანადგარების ოჯახის ბოლო წარმომადგენელი Ostwind-ი იყო, რომელიც ფირმა Ostbau-მ ისევე Pz Kpfw IV-ის ბაზაზე შექმნა და ერთი 37 მმ-იანი საზენიტო ქვეითი (Flak 43) აღჭურვა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო საზენიტო დანადგარად Kugelblitz-ი დარჩება. გამოსაცდელად აგებულ „კუგელბლიცს“ ძლიანდ დახურული კომპუ-

რა ჰქონდა და ორ 30 მმ-იან ავტომატს (Mk103) ვაზნებით ლენტეხე კვებავდა.

მეორე მსოფლიო ომში შექმნილი გერმანული თვითმავალი არტილერია (78 მმ-იანი, 88 მმ-იანი, 105 მმ-იანი და 150 მმ-იანი) ძალზე მრავალფეროვანი იყო და ამისთვის სამაგული წარმოების სატანკო შასებსა და საარტილერიო სისტემებთან ერთად ნაალაფარ ტექნიკაც იყენებდნენ.

საფრანგეთის კამპანიის წარმატებით დასრულების შემდეგ ვერმახტის განკარგულებაში ასეულობით ტანკი აღმოჩნდა.

ნაალაფარი ფრანგული მძიმე ტან-

კები ცეცხლსატყორცი საშუალებებით აღიჭურვა. „პოჩკისთა“ ერთი ნაწილი 75 მმ-იან ტანკსაწინააღმდეგო თვითმავალ დანადგარებად და 105 მმ-იან თვითმავალ პაუბიცებად, ხოლო AMR 35ZT-ები კი 81 მმ-იან თვითმავალ ნალ-სატყორცნად გადაკეთდა.

არც ნაალაფარი საბჭოთა ტექნიკა დარჩა უსაქმიოდ. მაგალითად, სადივიზიო 76 მმ-იანი ქვეითების (Φ-22) ჩხოვსლოვაკური ტანკების Pz 38(t)-ს შასიზე დაყენებით ეფექტური თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო დანადგარები დამზადდა.

შალვა გომიბერიძე



**ყველა თაობის
საყვარელი გაზეთი
1934 წლიდან**



ბელგიელი კომანდოსები

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ №8, 2011)

კომანდოსი მე-2 ბატალიონი

მე-2 ბატალიონის სამტატო სტრუქტურა საპარაშუტო ბატალიონების მსგეისა, თუმცა პირადი შემადგენლობის მოზადება რამდენადმე განსხვავდება. კომანდოსების ცენტრში (მარნულუ-დამი) გაუღილი ინტენსიური ფიზიკური და ფსიქოლოგიური მოზადების შემდეგ, მათ ვინც წარმატებით გაიარა კურსი, შესაბამის მიწოდებას იღებენ და კომანდოსთა ემბლემა — შუა ქსოვილზე ამოქარგული ხანჯლის გამოსახულების ტარების უფლება აქვთ ემბლემა დამკრეზებულთა კომანდოსთა სამუშაო ფორმისა და საპარაშუტო მუნდირის მარჯვენა სახელოზე.

ოთიოეული კურსანტი ვალდებულია პარაშუტით რვა გადმოხტომა შესრულოს და ამის შემდეგ ფრინველის ფრთების გამოსახულებიანი სამკრდე ნიშნის ტარების უფლებას იღებს.

პარაშუტით შესრულებულ გადმოხტომებში შედის: გადმოხტომა დამით, გადმოხტომა სტრატოსტატიდან და თეიმოფრინეუ C-130-იდან, გადმოხტომა სრული საომარი აღჭურვილობით.

დღეისთვის კომანდოს მე-2 ბატალიონი ფლავიანთა დისლოცირებული. გასული საუკუნის ითხმოდანთან წლებში ბელგიის შეიარაღებულ ძალებში შეიქმნა საგანგებო ოპერაციების ახალი საპარაშუტო ქვედანაყოფი, რომელიც საკუთარ საქმიანობაში

სიღრმისეული დაზვერვისა და შვერავ-კვლამაძიებელთა ამოცანებს ითვსებს. ქვედანაყოფში 80 სამხედრო მსახურობს და ფლავიანთა და ნაშენთა დისლოცირებული.

ამ ქვედანაყოფის იდეა სომალში ოპერაცია „იმედის აღორძინების“ დროს ჩაისახა და უკვე 16 წელია ის წარმატებით ასრულებს თავის მთავალივებს.

საგანგებო ოპერაციების ქვედანაყოფი ფორმალურად მე-2 ბატალიონის შემადგენლობაში ირიცხება და მათ მეთაურს ემორჩილება სამსახურის შინაგანაწესის საკითხებში, ხოლო დეაღუებების შესრულებისას დამოუკიდებლად მოქმედებს. მოზადების მეთოდები კომანდოსთა პროგრამისგან ოდნე განსხვავებულია.

კვლამაძიებლები ჩვეულებრივ ექვსკაციან ჯგუფებად მოქმედებენ და შესასრულებელი ამოცანები აშშ-ის არმიის კვლამაძიებელთა ამოცანებს ემთხვევა, ხოლო სიღრმისეული დაზვერვის დროს ქვედანაყოფის მებრძოლები ითხკაციან რაზმებად ბრიტანული SAS-ის მსგავსად მოქმედებენ.

პარაშუტისტთა მე-3 ბატალიონი

პარაშუტისტთა მე-3 ბატალიონი სამტატო ასეულისა და პარაშუტისტთა სამი ასეულისგან შედგება. სამტატო ასეულში სამეთაური, კავშირის, უზრუნველყოფისა და მომსახურების ოცეულები და სამედიცინო სექცია შედის.

პარაშუტისტთა ყოველი ასეული თავის მხრე მართვის, უზრუნველყოფის სექციისა და პარაშუტისტთა სამი ოცეულისგან შედგება, ოცეული კი ქვეითთა ორ და ერთ ტანკსაწინააღმდეგო სექციას შეიცავს.

ასეულების განკარგულებაშია საავტომობილო და სხვა ტექნიკა: Ilits-ის ტიპის ჯიპები, Unimog-ისა და MAN-ის ტიპის სატვირთო ავტომობილები, სამ და ათადგილიანი რეზინის გასაბერი ნაევი.

ამოცანათა შესრულებისას ასეული იყენებს — „მილანის“ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მართეად რაკეტებს, 12,7 მმ-იან მძიმე და 7,62 მმ-იან მსუბუქ (MAG) ტყვიამურქვევებს, 60 მმ-იან ნაღმსატყორცებს, 5,56 მმ-იან MINIMI-ს ტიპის ტყვიამურქვევებს და AW-ს ტიპის სნაიპერულ შაშხანებს.

პარაშუტისტ-კომანდოსთა ძირითადი საბრძოლო იარაღი კი 5,56 მმ-იანი შაშხანა FN-ია. სამტატო ნაღმსატყორცნელთა ოცეული შესასრულებელ ამოცანათა სირთულეებთან გამომდინარე, ექვს 81 მმ-იან ან ექვს რაოდენობის 106,7 მმ-იან ნაღმსატყორცს იყენებს.

მე-3 საპარაშუტო ულანთა კოლაი

მე-3 პოლკი პარაშუტისტ-კომანდოსთა ბრიგადის სადაზვერეო ქვედანაყოფია და შტაბის, სამტატო, მომსახურებისა და სადაზვერეო ესკადრონებისგან შედგება.

თავის მხრე, სადაზვერეო ესკად-



ბელგელი სამხრეთკავკასიური
პატრულირების დროს

რონი სამ-სამი სადაზვერუო და თითო ტანკსაწინააღმდეგო ოცეული შედის. კლასიკურ საპაერო-სადესანტო ოპერაციებში მე-3 პოლკ ასრულებს ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ახლი დაზვერვის ამოცანებს.

პოლკის განკარგულებაში 12 ტანკსაწინააღმდეგო მართავი სარაკეტო სისტემა, 100 ტყვიამფრეველი, 76 ჯიპი და 32 სატვირთო ავტომობილი.

ყოველ ოცეულს შეიძლება იტის (Itis) ჰქვას. ერთი — ოცეულის მეთაურს, ხოლო დანარჩენები კი ოცეულის სამ სექციას ემსახურება.

სადაზვერუო ოცეულების ავტომობილები MAG-ისა და MINIMI-ს სისტემების ტყვიამფრეველებით არის აღჭურვილი და თითოეულ ოცეულს თავისი სნაიპერი ჰქვას.

ტანკსაწინააღმდეგო ოცეულების ჯიპებზე „მილანებია“ დაყენებული და ავტომობილების დაზერული კაბინა ეკიპაჟს მიწინააღმდეგის ცეცხლისგან იცავს.

პარაშუტისტ-კომანდოსა საკაპრო ოთხდაცვის 35-ი ბატარა

1972 წელს ეროპაში მოკავშირეთა სარდლობის ქვეშ მყოფი მობილური ძალების საცეცხლე ძაღის ასაძაღლებად პოლკონიკმა სვერსმა, ბელგოურ პარაშუტისტ-კომანდოსების პოლკში საარტილერიო ოცეულის ჩამოყალიბების წინააღმდეგ წამოაყენა.

ასეთი ქვედანაყოფი ექსპერიმენტის სახით 1973 წლის 14 მაისს შეიქმნა და პირველ მეთაურად პოლკონიკი ხენრიტი დანიშნა.

არტილერიისტთა წვრთნები საველე არტილერიის სამხედრო სასწავლებ-

ლის ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა და მას შემდეგ, რაც ახალი საარტილერიო ქვედანაყოფის ოცეულმა გამოცდები საბრძოლო მიმზადებაში წარმატებით ჩააბარა, ის პარაშუტისტ-კომანდოსთა რიგებში ცალკეულ ქვედანაყოფად ჩაირიცხა. მოგვიანებით მის ბაზაზე საველე არტილერიის ბატარეა შეიქმნა.

1994 წლიდან ბატარეის შემადგენლობაში ექვს-ექვსეულებიანი ორი საცეცხლე ოცეული შეიქმნა. მასინ განზღბდა ბატარეის, როგორც ცალკეული, საცეცხლე მხარდაჭერის ქვედანაყოფის გამოყენების იდეა.

1995 წლის პირველი იანვრიდან ბატარეამ მიიღო ახალი დასახელება: „პარაშუტისტ-კომანდოსთა საველე საარტილერიო ბატარეა“.

ქვედანაყოფს უნარი აქვს იმოქმედოს თავისი ძირითადი დანიშნულების მიხედვით — შეასრულოს საარტილერიო საცეცხლე მხარდაჭერის ამოცანები, ხოლო პირადი შემადგენლობა ჩვეულებრივ პარაშუტისტ-სადესანტო ქვედანაყოფის დონეზეა მომზადებული.

ბატარეა სამეთაურო ჯგუფსა და 2 საცეცხლე ოცეულისგან შედგება. საპტროების შემთხვევაში ვალდებულია ავტონომიურად იმოქმედოს, ამიტომ შტაბტის შემადგენლობაში დამატებით შედის: დაკვირვებასა და კეპშირის რაზმი, სროლების გათვლის სამეთაურო პუნქტი, საბრძოლო მასალების, სამედიცინო და კადრების აღრიცხვის სექციები.

1997 წლის ბოლოს ბატარეამ შეიარაღებაში მიიღო 105 მმ-იანი 12 ბუქსირიანი მსუბუქი ქვეპოლკი LG1, რომლის ტრანსპორტირებასა პეერში დესანტთან ერთად შეიძლება.

ქვეშევრდების საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანას 60 წამი სჭირდება, ხოლო მომსახურებას 5 არტილერიისტი უკე-

რებს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში სამივე საკარისია.

სროლისათვის აუცილებელ მინაკვთა დამუშავება სამეთაურო პუნქტზე სპეციალური პროგრამა Atryfire-ს გამოყენებით დაცულ ნოუთბუქებზე ხდება.

საარტილერიო მჭერეაბები დაკვირვებისთვის ლაზერული მანძილზომი Laser Oldelft-ერს იყენებენ, რომელიც სამისზნედ 10 კმ რადიუსში 10-მეტრიანი ცდომილებას უშუქებს. მჭერეაბთა განკარგულებაშია აგრეთვე თანამედროვე GPS-ის ხელსაწყოები.

პარაშუტისტ-კომანდოსთა საკაპრო ოთხდაცვის 35-ი ბატარა

ბატარეა 1994 წლის პირველ ფლისს შეიქმნა. 1997 წლიდან სამხედრო პარტილირობის პროგრამით საფრანგეთის 35-ე საარტილერიო-საკაპრო პოლკთან თანამშრომლობს.

ბატარეა ფრანგული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „მისტრალით“ არის აღჭურვილი.

ბატარეა პარაშუტისტ-კომანდოსების ერთადერთი ნაწილია, რომელიც მუდმივად საზღვარგარეთა დისლოცირებული და დისლოცირების ადგილი გერმანიის ქალაქ ქნესელაურია.

ბატარეის დანიშნულებაა ბრიგადის ქვედანაყოფების საპაერო თავდასხმებიდან დაცვა, აეროდრომებისა და დასაშვები ადგილების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საერთო-საკაპრო ოთხდაცვის საერთო სისტემაში აქტიური მონაწილეობა.

ორგანიზაციულად ბატარეა სამეთაურო, ცეცხლის მართვისა და საპაერო ოთხდაცვის სამი საცეცხლე ოცეულისგან (თითოეულში საპაერო ოთხდაცვის 2 სექცია და 3 საცეცხლე პოსტი შედის) შედგება.

საველე წვრთნები როგორც ბრიგადის, ასევე მარაგულრობანი დეზიბის შემადგენლობაში მიმდინარეობს.

პარაშუტისტ-კომანდოსები საბრძოლო უნარ-ჩვევების ყოველთვის მაღალ დონეზე ინარჩუნებენ. პირადი შემადგენლობა პერიოდულად წვრთნებს კლდეებზე ცოცხლად რაინის რაინში გადის.

კომანდოს პროგრამით ინტენსიური წვრთნები წელთაღმდეგ ერთხელ ერთი კვირის განმავლობაში საწვრთნელ ცენტრ მარმულ-დამში ტარდება. პარაშუტისტ-ბრძოლის კომანდოსები ყოველთვიურად სასწავლო ცენტრ ავტილი-ასრულენ. ბატარეა საკაპრო ავტილი-მოხილვებზე დამონტაჟებული Mistral-ის

სისტემის 18 გამწვები დანადგარით არის შეიარაღებული და რადიოსალაკაციო კომპლექსებით აღჭურვილი 3 სამეთაურო ცენტრი აქვს.

პარაშუტისტ-კომანდოსთა მ-14 საინჟინერო ასპულე

ასეული 1960 წელს ვესტპოინენში (გერმანია) დისლოცირებულ საინჟინერო ბატალიონის გამოყოფა და მე-4 ჯგუფის საინჟინერო ბრიგადის ცალკეული საინჟინერო ასეულად ჩამოყალიბება.

1991 წელს დაიწყო ვეტო წოდებული „კეინის ფარისი“ პოლიტიკა და ვეროპის უსაფრთხოების გარემოებათა შეცვლის გამო მე-4 ჯგუფის საინჟინერო ბრიგადა დაიშალა.

1992 წლის ოქტომბერში საინჟინერო ასეულმა დისლოცირების ადგილი შეიცვალა და ანტიკორპეინის მახლობლად დაიდა ბინა და პარაშუტისტ-კომანდოსთა ბრიგადის შემადგენლობაში შევიდა.

1994 წელს, ბელგიის არმიის რეორგანიზაციის გამო, ასეული ბრიგადის შტაბთან, სამედიცინო ოცეულსა და ზურგის უზრუნველყოფის ქვედანაყოფთან ერთად ქალაქ ლევენის მახლობლად ხევერლის თანამედროვე ვაზარებში გადავიდა.

ასეულის მთავარი ამოცანა ბრიგადის ქვედანაყოფებისა და მრავალფეროვანი დანიშნის მებრძოლების საინჟინერო უზრუნველყოფაა.

პარაშუტისტ-კომანდოსთა მე-14 საინჟინერო ასეული ამოცანათა შესასრულებლად საინჟინერო ტექნიკის ფართო სპექტრს ფლობს.

მესანგრეთა თითოეული განყოფილების განკარგულებაში 2 სატვირთო ავტომობილი Unimog-ია. ერთი მათგანი რადიოფორირებულია და ჯარისკაცებს ემსახურება, ხოლო მეორე საინჟინერო დანიშნულებისაა ჯალამბრით არის აღჭურვილი და ნაღმების თუ ფეთქებად ნივთიერებათა გადასატანად გამოიყენება.

სატრანსპორტო-საინჟინერო ოცეულს ორი 22-ტონიანი და ექვსი 18-ტონიანი ტრაილერი, 5 ამსუ, 2 სატვირთო ავტომობილი Volvo, 4 მრავალფუნქციური ტრაქტორი JCB და CASE, 2 ნაღმგადამლობი MATENIN-ი, 7 ვასაბერი ნაჟი Zodiac MKIV HD (თითოეულს 15 სრულად ეკვიპირებული სპეცრაზმელი გადასაყვას) და კომპრესორი Atlas Copco აქვს.

გარდა ამისა, მებრძოლ მყვინთავთა განკარგულებაში ექვსი 40-მალანი მოტორით აღჭურვილი ნაჟი Slinger-ია.

პარაშუტისტ-კომანდოსთა 210-ე ჯურგის უზრუნველყოფის ასეული

ზურგის უზრუნველყოფის 210-ე ასეული ზურგის ქვედანაყოფების საერთო რესტრუქტურისაგან ფარგლებში 1983 წლის პირველ ფლისს შეიქმნა. იგი ლუდენშმიდმა დისლოცირებული და ზურგის უზრუნველყოფის მე-18 ბატალიონის შემადგენლობაში ირიცხება. ომის დროს მე-18 ბატალიონი სადაზვერეო ქვედანაყოფებს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას უწევს. ცივი ომის დასრულების შემდეგ დაზვერვის ჯგუფები გაუქმდა და 1991 წელს 210-ე ასეული პარაშუტისტ-კომანდოსთა ბრიგადის დაქვემდებარებაში გადავიდა.

პარაშუტისტ-კომანდოსთა მ-16 საინჟინერო ასეული

შვიდობიან დროს ასეულის სამედიცინო პერსონალი (ქირურგები, ანესთეზიოლოგები და მედლები) ბრიუსელის სამხედრო პოსპიტალში მუშაობენ, სადაც ცოდნასა და პროფესიულ უნარჩვევებს იმაღლებენ.

სამედიცინო ასეულის მთელი პირადი შემადგენლობა სამედიცინო განათლების დონეს მუდმივად იმაღლებს. ჯარისკაცების უმრავლესობა კი თავის მიუაღილებს სამოქალაქო საზოგადოებებში (სასწრაფო დახმარების ბრიგადებში) ასრულებს.

ასეულის მთელი პირადი შემადგენლობა აუცილებელ მომზადებას გადის საპარაშუტო-სასწავლო ცენტრსა და კომანდოსთა სასწავლო ცენტრში.

კომანდოსთა საწვინელი ცენტრი მდებარეობს ქალაქ ნამურდან ექვსი კილომეტრის დაშორებით მდინარე მასის ხეობაში, რომელიც მაღალი კლდეებითაა გარშემორტყმული და კომანდოსთების მომზადებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

სპეცრაზმელები იქ ეუფლებიან კლდე-

ზე ცოცვის ტექნიკას, საზღვრებში პორაფიას, ბუნებრივი წინააღმდეგობისა თუ მდინარეთა ფორსირების ტექნიკას. მთავარიანი და ტყიანი ადგილმდებარეობა ტაქტიკური წვრიდანების და სასწავლო რეიდების ჩატარების საშუალებას იძლევა.

საწვინელი ცენტრს ორი ძირითადი დისლოცირების ადგილი აქვს — მარშლედამი არნებერტის კომპის მახლობლად და მდინარე მასის ჩრდილო სანაპირო.

ცენტრის მუდმივი შემადგენლობა 170 კაციით განისაზღვრება, ხოლო საწვინელი შეკრებების დროს კი 420-მდე მატულობს.

საწვინელი ცენტრში პარაშუტისტ-კომანდოსთა ბრიგადის ჩარიცხვის კანდიდატთა მოსამზადებელი კურსის დასრულების შემდეგ ჯარისკაცები კვლავ საკუთარ სამხედრო ნაწილებს უბრუნდებიან, სადაც ისინი ქვედანაყოფების შემადგენლობაში სპეციალიზაციის კურსებს გადიან.

მომზადების ეს კურსი მოიცავს პარაშუტით ხტომებს, დესანტირებას თვითმფრინავებისა და შეუქმდურენობა დაჯდომის გზით.

საერთო მომზადების პროგრამა მაქსიმალურად ვითარდება.

პარაშუტისტ-კომანდოსთა ბრიგადის ოპერატიული მზადყოფნის მაღალი ხარისხი აქვს და საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანას ერთი მცირე დრო სჭირდება.

პარაშუტისტ-კომანდოსთა ბრიგადის ოპერატიული მზადყოფნის მაღალი ხარისხი აქვს და საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანას ერთი მცირე დრო სჭირდება.

ბრიგადა ერთ-ერთი ბელგიური შენაერთია, რომელიც NATO-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედის და მუდმივად მზადყოფნას ინარჩუნებს.





საზღვაო შვეულმფრენები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N25, 2010-N2-8, 2011)

მსოფლიოს წამყვანი საზღვაო ქვეყნები მსხვილი საბრძოლო ზომაღდების რაოდენობას ამცირებენ და ეს ტენდენცია უკვე რამდენიმე წელია შეიმჩნევა. პარალელურად, სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში საკემბანო შვეულმფრენები მატულობს, ისინი საბრძოლო ზომადების თვალში და ყურადღებას არიან.

ბოლო ათწლეულში შვეულმფრენებმა ზომადების გემბანზე ფეხი მყარად გაიდგეს და, პრაქტიკულად, დაწვებული კორეების კლასით ყველა სამხედრო ზომადზე შვეულმფრენის მოედანია გათვალისწინებული.

ზომადის გემბანზე შვეულმფრენი „დაბადებისთანავე“ გამოჩნდა. ამ საქმის პიონერები გერმანელები არიან — მათ სცადეს ზომადის გემბანზე შვეულმფრენის განთავსება მეორე მსოფლიო ომში.

თანდათანობით საზღვაო შვეულმფრენების როლი გაფართოვდა და დაზვერვას მალე შემტკვი ოპერაციები და ხალხის გადაარჩენაც დაემატა.

საკემბანო შვეულმფრენების ამოცანათა სპექტრი გაფართოვდა და ნელ-ნელა საზღვაო და სახმელეთო შვეულმფრენების ევოლუციის გზას დაშორდა. ზღვაზე უსაფრთხო ფრენისა და

საიმედოობის გასაზრდელად ყველა საკემბანო შვეულმფრენი ორბრავიანია — ერთ-ერთის მწვეობრიდან გამოსვლის შემთხვევაში აპარატმა ბაზირების ადგილამდე მიღწევა მაინც უნდა შეძლოს.

სპეციფიკიდან გამომდინარე, საკემბანო შვეულმფრენებს კონსტრუქციული თავისებურებები აქვს და უპირველესად ეს ზღვის პაჟის შექმნა. მარინიანი წყალი ლითონის დეტალებზე დამლუპველად მოქმედებს და სწრაფ კოროზიას იწვევს. ამასთან, სახმელეთო აეროდრომთან შედარებით, ზომადის გემბანის ოთხ ანგარის, ზომა მცირეა და ამიტომაც ყველა საკემბანო აპარატს მზიდი ზრახნის ნიშნები კუდის ძეღის გასწვრივ ეკუთვნის.

ასაკის მიუხედავად, „ზღვის მეფე“ მწვეობრში კიდევ დიდხანს დარჩება



მოდიფიკაცია — SH-3D
მზიდი ზრახნის დიამეტრი — 18,90
სიგრძე — 16,690
სიმაღლე — 5,130
მასა: ცარიელის — 5382კგ
მაქსიმალური ასაფრენი — 9299კგ
მაქსიმალური დანადგარი — 2xGeneral ElectricT58-GE-10
სიმაღლე — 2X1420 ც.ბ.მ
მაქსიმალური სიჩქარე — 267კმ/სთ
კრივისრული სიჩქარე — 219 კმ/სთ
ფრენის მანძილი — 1005კმ
პრაქტიკული ჭერი — 4480მ
ეკიპაჟი — 2 პილოტი + 2 ოპერატორი
საბრძოლო დატვირთვა — 2269
კგ კაბინაში ან 3629 კგ გარე საკიდზე
საბრძოლო დატვირთვა — 381 კგ

გახული საუკუნის 60-იანი წლებისთვის, საზღვაო ბაზირების ბირთვულ-ქიმიანი რაკეტები ჩვეული მოვლენა იყო და წყალქვეშა ნავი სტრატეგიული დანიშნულების იარაღად გადაიქცა. ატომურმა ძალურმა დანადგარმა კი სუბმარინის ავტონომიურობა 3-4 თვემდე გაზარდა, მაგრამ რაკეტების ფრენის მანძილი რამდენიმე ასულ კილომეტრს არ აღემატებოდა. ამის გამო კი ნაპირთან მიახლოება იყო საჭირო.

წყალქვეშა ფლოტი სწრაფად ვითარდებოდა და მალე ნათელი გახდა, რომ წყალქვეშა ნავებთან ბრძოლა ხომალდების ახალი კლასის შექმნას მოითხოვდა, — ერთ-ერთი ალტერნატივა შეუვლმფრენში იყო.

ასეთი ხომალდის ბორტიდან შეუვლმფრენები წყალქვეშა ნავების აღმოჩენა-განადგურების ამოცანების გადამწყვეტას ბევრად სწრაფად და ეფექტურად შეძლებდნენ.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს გამოჩნდა, რომ ავიაცია წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის ეფექტურ მოქნილ საშუალებასა.

ამერიკელებმა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე „ესექსის“ ტიპის 3 ავიამზიდის გადაკეთება დაიწყეს, მაგრამ შეუვლმფრენების გამო პრობლემები წარმოიქმნა.

1954 წელს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა შეიარაღებაში „სიკორსკის“ ფირმის SH-34 მიიღო. ჰაერში ჩამოკიდებული ეს აპარატი წყალქვეშა სამიზნეს შეტ-ნაკლები შედეგიანობით ზღვაში ბაგრიით ჩაშვებული პილოტო-ოკატორით ეძებდა, მაგრამ სუსტი მიდამების ძრავ ტვირთამწეობას ზღუდავდა — მხოლოდ შეიარაღების ან აღმოჩენის ავტორევილის ტარება შეუძლია ამის გამო კი სამსებრო და დამრტყმელი ფუნქციები ორ ბორტს შორის იყო გადანაწილებული. შესაბა-

დღეს საზღვაო შეუვლმფრენების გამოყენება აქტიურად საზღვაო ნაღმების მტრად ჯდება. ფლოტზე — აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის MH-53E ტრალის ბუქსირებისას



მისად, შეუვლმფრენთა რაოდენობა ორჯერ მატულობდა.

